ეროვნული ბიბლიოთეკა

სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 4 აგვისტო 1998 №134 (669) ფასი 40 თეთრი

სუპერთასიც ბათუმს! მაშ, დინამოს რაღა?..

იუზა კაციტაძე ბათუმიდან

„ბათუმი“ და მისი კაპიტანი მალხაზ მახარაძე ბელგრადელ პარტიზანებს სუპერთასით გულმიცემულნი ესტუმრებიან

ძალიან ცხელოდა გუშინწინ ბათუმში, საღამოხანსაც კი ჰაერი ისე ჩახუთული-ყო, სუნთქვა ჭირდა. და, აბა, წარმოიდგინეთ, ამ დროს თამაში როგორი იქნებოდა. ექვსის ნახევარზე მატჩის დაწყება ნაადრევი მოგვეჩვენა, მაგრამ ორგანიზატორებს ასე გადაეწყვიტათ და რა გაეწყობოდა. ჰო, ორგანიზატორებზე. ალბათ, გახსოვთ, საქართველოს სუპერთასის გამართვა თავის დროზე „რეზონანსის“ იდეა გახლდათ და წინა ორი გათამაშებაც მისსავე ეგიდით ჩატარდა. ახლა კი, რა მოხდა? გაზეთს საკუთარ პირმშოზე უარი უთქვამს და საქმე ფეხბურთის ფედერაციისთვის მიუნდვია.

— მაგ დალოცვილებს, ორი-სამი თვით ადრე მაინც ეცნობებინათ ჩვენთვის და შესაბამის ზომებს მივიღებდით, თორემ ერთი კვირის წინ მოვიდნენ, ღონისძიებას ფინანსურად ვერ გავწვდებითო. ახლა ასე იყოს, გამარჯვებულს მხოლოდ ძველი ნიმუშის სუპერთასი გადაეცემა. მომავალში სუპერთასის სპონსორსაც მოვძებნით და ახალ პრიზსაც დავამზადებთო — გვითხრა თამაშის წინ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა ნოდარ ანდრიაძემ. მომავალში რა იქნება, იმასაც ვნახავთ. ახლა კი სათქმელი ვთქვათ.

26 მაისს ეროვნულზე თასის მოგების შემდეგ „ბათუმს“ სათამაშო პრაქტიკა ფაქტობრივად არ ჰქონია. მართალია, გუნდმა რამდენიმე საკონტროლო შეხვედრა გამართა, მაგრამ სრული, ან თუნდაც იმ შემადგენლობით, რომელიც გუშინწინ ვიხილეთ, პირველად მოგვევლინა. ახალწვეულ თუ პირობით ახალწვეულთაგან ზღვისპირელთა რიგებში ოთხმა ითამაშა. ჩემპიონი ბათუმს ალბანურ „ვლაჟნიასთან“ თავშერცხვენილი ესტუმრა. „დინამოს“ ორის შემატება მოუსწრია, კიკნაძისა და ბათუმელი ვანო მახარაძისა. ამ კვირაში უფრო გაძლიერების იმედიც აქვს და ესპანურ „ატლეტიკთან“ მთლად ხელჩაქნეულიც არ გავა, თუმცა თბილისელთა გუშინწინდელი თამაშიდან გამომდინარე ერთობ საეჭვოა, რომ უახლოეს ათ დღეში სასიკეთო ცვლილებები მოხდეს. „დინამომ“ კვლავაც ულიმღამოდ, ერთფეროვნად ითამაშა და ახლა უკვე სუპერთასსაც შეელია.

როგორც ვთქვით, ხვატი იდგა და ამან ფეხბურთელთა მოქმედებაზეც იქონია გავლენა. მატჩი საშუალოზე დაბალ ტემპში დაიწყო. მეორე წუთზე კიკნაძემ დაგვამახსოვრა თავი, მოედნის შუაგულიდან დაწყებული ვიდრე მასპინძელთა საჯარიმოს მიუახლოვდებოდა ოთხი მეტოქე ჩამოიცილა. ეს იყო, დინამოელთა პირველ შეტევას კუთხურის მეტი არაფერი მოჰყოლია. გავიდა ორი წუთი და ბათუმელთა კაპიტანი მალხაზ მახარაძე შეცდა, მარტივ სიტუაციაში ბურთი კობიაშვილს ჩააბარა, იგიც მარცხნიდან შევიდა საჯარიმოში, დაარტყა კიდევაც, მაგრამ მეტისმეტად არაზუსტად. საწყის ათ წუთში სათამაშო უპირატესობა, თუმც არც ისე დიდი, სტუმრებს ეპყრათ.

იხილეთ მეორე გვერდი

ე ჯგუფი
იუგოსლავია 60:61 იტალია
პუერტო რიკო 94:81 კანადა
საბერძნეთი 48:60 რუსეთი

F ჯგუფი
ლიტვა 84:75 არგენტინა
ავსტრალია 75:63 ბრაზილია
აშშ 75:73 ესპანეთი

თითო ყველას მოხვდა

E ჯგუფი

იუგოსლავია 60:61 (29:25) იტალია

იუგოსლავია: რებრაჩა (16), ობრადოვიჩი (12), ბოდიროგა (10)

იტალია: ფუჩკა (16), მაიერსი (12), გალანდა (9)

მსოფლიოს ჩემპიონატზე ლიტველების მიერ ამერიკელთა დამარცხებით გამოწვეული მოულოდნელობა გულშემატკივრებს კარგად ვერც გაეთვითცნობიერებინათ, რომ მეორე სენსაციის მომსწრენიც შეიქნენ.

დიახ, სენსაციისა, რადგან ჯგუფური ტურნირის სამ შეხვედრაში, ისევე, როგორც მეორე ეტაპის პირველ მატჩში, იუგოსლავიელები ნამდვილი ჩემპიონებივით ირჯებოდნენ და ყველა მეტოქეს სასტიკად უსწორდებოდნენ.

ამიტომ მატჩის წინ, ალბათ, ძნელად თუ იფიქრებდა ვინმე, რომ ეს ნაკრები საკმაოდ არათანაბრად მოასპარეზე იტალიის ნაკრებთან დამარცხდებოდა. „სკუადრა ატურას“ ხომ ოთხი თამაშის შემდეგ ოდენ ორი გამარჯვება ჰქონდა აქტივში და მას უკეთეს შემთხვევაში ყველა E ჯგუფში მეოთხე ადგილს უწინასწარმეტყველებდა.

მათ შორის იყვნენ თავად იუგოსლავიელებიც, რომლებიც იმდენად თავდაჯერებული გავიდნენ მოედანზე, თითქოს ორი ქულა უკვე ჯიბეში ედოთ. არადა, როგორც თამაშის პირველივე წუთებმა აჩვენა, აპენინელები არაფერის დათმობას არ აპირებდნენ და თითოეული ბურთისთვის გააფთრებით იბრძოდნენ.

თუმცა იუგებმა ყურიც არ შეიბერტყეს და მიუხედავად იმისა, რომ მთელი პირველი ტაიმი ქულა-ქულაში მიდინარეობდა, კვლავ აუღელვებლად მოქმედებდნენ.

ბალკანელთა ასეთი თვითრწმენა ქომაგებსაც გადაედოთ. ისეთი შთაბეჭდილება რჩებოდა, თითქოს წუთი-წუთზე იუგები თამაშში გარდატეხის შეტანას შეძლებდნენ. მაგრამ დრო გადიოდა და ეს სავარაუდო უპირატესობა არსად ჩანდა. უფრო მეტიც, ათენის ოლიმპიურ დარბაზში მჯდომმა 13 ათასმა გულშემატკივარმა დატრიალებული სენსაციის სუნიც იყნოსა. ეს გრძნობა კიდევ უფრო გაძლიერდა, როდესაც იმ საღამოს ყველაზე მეტი — 16 ქულის ჩამგდები გრეგორ ფუჩკას ბრწყინვალე თამაშის წყალობით „სკუადრა აძურა“ რვა ქულით გაიჭრა წინ 54:46.

ა, აქ კი იკადრეს იუგებმა თავის შეწუხება. მიხვდნენ, რომ 1990 წლის მსოფლიოსა და გასული ევროპის პირველობის ჩემპიონებს ასე უგვრგილოდ გარჯა არ შეეფერებოდათ. მათაც ობრადოვიჩისა და ბოდიროგას თავგამოდებით იმდენი ქნეს, მატჩის დამთავრებამდე ორი წუთით ადრე დაწინაურდნენ 55:54.

შეხვედრის დრამაც სწორედ აქ დატრიალდა. საღამოს გმირმა ფუჩკამ ინიციატივა საკუთარ ხელში აიღო, მეტოქემ კი მისი განეიტრალება ვერაფრით მოახერხა. საფინალო სასტვენამდე 20 წამილა რჩებოდა, როცა თეთრ ფორმაში გამოწყობილ „სკუადრა აძურას“ მეშვიდე ნომერმა გადამწყვეტი საჯარიმო ტყორცნა ჩააგდო და თავისიანებს ნანატრი გამარჯვება მოუტანა.

მეორე ეტაპის ბოლო ტურის წინ ჯგუფებში ისეთი მდგომარეობა შეიქმნა, რომ დღეს უაღრესად დაძაბულ მატჩებს უნდა ველოდეთ. ისე კი ვიტყვით, რომ არც ფარსის გათამაშებაა გამორიცხული. ყველა შეხვედრა ხომ ერთი და იმავე დროს არ იმართება, რაც ზოგიერთ გუნდს იმის საშუალებას მისცემს, რომ აუღელვებლად აირჩიოს მეოთხედფინალში სასურველი მეტოქე.


REUTERS ათენიდან

იუგოსლავია—იტალია. დაუმარცხებელი აღარც ობრადოვიჩი და კომპანია დარჩა

იხილეთ მეშვიდე გვერდი

გახოკიძე ფილიპსის სამყაროში
გოგა რობსონს ხუთი წლით მიჰყავს

შაბათის „სარბიელში“ საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ვლადიკავკაზის „ალანიას“ ფეხბურთელის გოგა გახოკიძის ჰოლანდიის „ეინდჰოვენში“ შესაძლო გადაბარგებაზე ვიუწყებოდით. პარასკევს გოგასთან სატელეფონო საუბრისას შევიტყვეთ, რომ კონტრაქტზე ხელმოწერა ორ-სამ დღეში უნდა მომხდარიყო და ჩვენც ამბის გასაგებად კვლავ შევეხმიანეთ მას.

— კონტრაქტზე დღეს უნდა მომეწერა ხელი, მაგრამ სამედიცინო შემოწმება გავიარე და ამის გამო ხელმოწერის ცერემონიალი სამშაბათს შედგება.

— რა ვადას გთავაზობენ და რამდენია სატრანსფერო თანხა?

— 5-წლიან კონტრაქტს მიფორმებენ. რაც შეეხება თანხას, ზუსტად არ ვიცი. მგონი, 2 მილიონზეა დოლარზეა ლაპარაკი.

— გავიგეთ, კიდევ ერთი მატჩი გითამაშია.

— ერთი შეხვედრა ჩავატარეთ მეორე ჯგუფის არცთუ ხელწამოსაკრავ გუნდთან და 3:1 მოვიგეთ. ერთი საგოლე პასიც გავაკეთე. ამჯერად ორივე ტაიმი მათამაშეს. „ეინდჰოვენის“ თავკაცთან ბობი რობსონთანაც მქონდა საუბარი. იგი კმაყოფილია ჩემი ამჟამინდელი ფორმით.

მაშ ასე, ეს მეტად სასიხარულო ამბავი, ფაქტობრივად, გადაწყვეტილია. გიორგი გახოკიძე ახალი სეზონიდან ჰოლანდიის „ეინდჰოვენის“ ღირსებას დაიცავს. ვიმედოვნებთ, რომ ეს ტრანსფერი მისი ბრწყინვალე კარიერის დასაწყისია და სულ მალე საფეხბურთო სამყაროს კიდევ ერთი ქართველი ვარსკვლავი შეემატება.

ხვიჩა სანიკიძე

გოგა გახოკიძემ ფილიპსის კლუბში ერთი საგოლე პასი უკვე მიითვალა

ფეხბურთი და ფეხბურთელები არაფერ შუაში არიან

გავრცელდა ცნობა, თითქოს თურქეთში წითელი ჯვრის ეგიდით მყოფმა ქართველმა 14-16 წლის ფეხბურთელებმა თურქი ბავშვი სასიკვდილოდ სცემეს. დაგვეთანხმებით, დიდად შესაცხადებელი ამბავია, მით უმეტეს, რომ ისიც ითქვა, თურქებმა შვიდი ჩვენებური ყმაწვილი ფეხბურთელი დააპატიმრესო. მაგრამ საქმე არც მთლად ასე ყოფილა.

გუშინ, ტრაბზონში საქართველოს საკონსულოს დავუკავშირდით, საიდანაც გვაცნობეს, რომ ასეთი ინციდენტი თურქეთის ქალაქ სამსუნში მართლაც მომხდარა, ოღონდ ფეხბურთი და ფეხბურთელები არაფერ შუაში არიან. თურქეთს თურმე ქართველი ლტოლვილები სტუმრობდნენ და არავითარი საფეხბურთო ტურნირის მსგავსი აქ არ ყოფილა, მეორეც, ჯერაც გამოძიება მიმდინარეობს იმის დასადგენად, თუ რა იყო მიზეზი საბრალო თურქი ბიჭუნას დაღუპვისაო — გვითხრეს საკონსულოს მუშაკებმა.

თურქებს სტეფანია უნდათ. სტეფანიას თურქები — არა

ნბა-ში ლოკაუტის დასრულებას ყველაზე მეტად ალბათ ვლადიმერ სტეფანია ელის, მაგრამ ამ საქმეს ჯერ სასიკეთო პირი არ უჩანს და დრაფტში არჩეულ ახალბედებსაც კლუბები კონტრაქტს ვერ უფორმებენ. ჰოდა, ტყუილად ყოფნას რომელიმე ევროპულ გუნდში გარჯა რომ სჯობს? ამაზე ვოვამ ადრეც გვითხრა, შესაძლოა, ასეც მოხდესო, მით უმეტეს, რომ არც ევროპელები ამბობენ უარს უსაქმოდ დარჩენილ ვარსკვლავებზე და აკი მასაც შეხმიანებიან. განსაკუთრებით თურქული კლუბები „ეფეს პილსენი“ და „ულქერი“ აქტიურობდნენ, თანაც სტეფანიას სამი წლით გადაბირება მოუწადინებიათ, ვოვას კი ამდენი ხნით თურქეთში გადახვეწა ხელს არაფრით აძლევს და კვლავ თავის ძველ კლუბს ლუბლიანის „ოლიმპიას“ მიაშურა.

— სლოვენებთან ვივარჯიშებ და ამასობაში იქნებ ამერიკიდან კარგი ამბები მოვიდეს, ლოკაუტი დამთავრდეს და მეც უმალ სიეტლს გავემგზავრებიო.

სუპერთასიც ბათუმს! მაშ, დინამოს რაღა?..

საქართველოს სუპერთასი

ბათუმი
„დინამო"
2 აგვისტო

ბათუმი 2:1 დინამო

ბათუმი: ტოგონიძე, გოგიტაძე, მინდაძე (აფხაზავა 42), სიჭინავა, კანტიძე (მაქაცარია 74), ვერემეუკი, მ. მახარაძე, ჭიჭვეიშვილი, მაჭუტაძე, ტუღუში, გადელია (ღლონტი 31)

დინამო: სოლოლაშვილი, ი. მახარაძე, გუჩუა, გ. კვარაცხელია (ა. სახვაძე 63), მუჯირი (ლ. მელქაძე 67), აშვეთია, კიკნაძე, ალექსიძე, კობიაშვილი, ცქიტიშვილი, ხომერიკი (გ. შენგელია 70)

1:0 მაჭუტაძე (37), 1:1 ცქიტიშვილი (79), 2:1 ტუღუში (82)

გაფრთხილება: კანტიძე, გუჩუა

მსაჯი: თ. ლაცაბიძე (სურამი)

დასაწყისი პირველ გვერდზე

ბათუმელები კი თანდათან მოვიდნენ ხასიათზე და ინიციატივაც მათ ხელში გადავიდა. მე-11 წუთზე მაჭუტაძის საზიფათოდ დარტყმული თბილისელ მცველს მოხვდა და კუთხურზე გადავარდა. იქედან ჩაწოდებულს „დინამოს" საჯარიმოში ისევ პაატა დაუხვდა, მაგრამ კარში დარტყმა ვერ მოასწრო.

მასპინძლებმა იერიშები განაგრძეს, ამ-ამ გამოხდომას მასპინძლებმა ახალი, მძლავრი დაწოლით უპასუხეს და მალე დაწინაურდნენ კიდეც. დინამოელმა მცველებმა თავიანთ ნახევარზე მოედნის ცენტრთან ახლოს უყურადღებოდ დატოვეს მაჭუტაძე, მათ ეგონათ ბათუმელი თავდამსხმელი თამაშგარეაო, მაგრამ თანამსაჯ მიქელაძეს ნიშანი არ მიუცია და, ალბათ, მართალიც იყო, მაჭუტაძე სოლოლაშვილთან პირისპირ გავიდა. ერთ მომენტში პაატა ისე შეყოვნდა, იფიქრებდი, შანსს დაკარგავსო, მაგრამ მეკარე ოსტატურად მოატყუა და კარის დაბალ მარცხენა კუთხეში ისე დაარტყა. მცველმაც, თავგანწირული ნახტომის მიუხედავად ბურთს ვეღარ მიუსწრო და იგი ბადეში გაეხვია. ოთხ წუთში ბათუმელებმა ერთი უაღრესად სახიფათო შეტევაც განახორციელეს. სიჭინავა მაღალი სიჩქარით შედიოდა „დინამოს" საჯარიმოში, იქ მცველი შეებრძოლა და ბათუმელი წაიქცა. არბიტრმა, არაფერი მომხდარაო. ტაიმის მიწურულს ლაცაბიძემ კობიაშვილს აშკარად აპატა მინდაძესთან უხეშობა. არადა ბათუმელმა სერიოზული ტრავმა მიიღო და შესაცვლელი შეიქნა.

მასპინძლები ურიგოდ არც პირველ ტაიმში ირჯებოდნენ, მაგრამ მეორეში ისინი უფრო დალაგდნენ. მწყობრად შეუტიეს და, ფაქტობრივად, მეტოქე საკუთარ ნახევარს მიაჯაჭვეს. კარგი იყო ჯერად შორეული დარტყმებით ეცადნენ ფონს გასვლას, მაგრამ სოლოლაშვილმა ივაჟკაცა, კანტიძეს და სიჭინავას აუღო. მერე ტოგონიძის ჯერიც დადგა, რომელმაც ალექსიძის ძლიერად დარტყმული მოიგერია. ამას მუჯირის ორი „აფეთქება" მოჰყვა, ბათუმელთა იღბლად მუმუმ ორივეჯერ ააცილა. თბილისელთა აფხაზავა. მისი აქტიური თამაშის წყალობით „დინამოს" კართან ზედიზედ რამდენიმე საგოლე მომენტი შეიქმნა, თუმცა მაჭუტაძემ, ტუღუშმა და ღლონტმა ვერ გამოიყენეს. „ბათუმი" ამისთვის დაისაჯა კიდევაც. 79-ე წუთზე თბილისელთა აქამდე ერთადერთი სწრაფი კონტრიერიში ცქიტიშვილმა მასპინძელთა კარში უძლიერესი დარტყმით დაასრულა, მაგრამ ტოგონიძემ იხსნა თავისიანები, ჩვეულ თავგანწირულ ნახტომში მოიგერია. მაგრამ ორ წუთში უკვე უძლური აღმოჩნდა. იმავე ცქიტიშვილმა შუაგულ საჯარიმოდან ისე გაისროლა, კარში ვინც არ უნდა მდგარიყო, მაინც ვერ აიღებდა. ანგარიში გათანაბრდა და, გვევარაუდა, „დინამო" მეტსაც მოიმოქმედებდა. მაგრამ ასე არ მოხდა. ისევ ბათუმელებმა იმძლავრეს და შეცვლაზე შესული მაქაცარიას უზუსტესი გადაცემით მალე ტუღუშმა ლამაზი გოლი გაიტანა. თემურმა საჯარიმოში მკერდით ჩამოიგდო ბურთი, დასარტყმელად მოირგო და მეკარისგან შორეულ მაღალ კუთხეში გაგზავნა. შემდეგ მაქაცარიამ ერთხელაც გაუკეთა ტუღუშს კარგი პასი, თუმც ამ უკანასკნელს თავური აუცდა. ამას მაქაცარია — ტუღუში — მაჭუტაძის სწრაფად გათამაშებული კომბინაცია მოჰყვა, მაგრამ სოლოლაშვილმა იმარჯვა, ახლოდან დარტყმული აიღო და თბილისელები აშკარა მესამე გოლს გადაარჩინა. თამაშის ბოლოს სტუმრებმა აშვეთიამ და ვანო მახარაძემ შორიდან სცადეს ტოგონიძის კარის აღება, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ.

„ბათუმმა" მესამე ცდიდან სუპერთასიც აართვა „დინამოს". გამარჯვებულთა სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. საპატიო პრიზი ბათუმელთა კაპიტან მალხაზ მახარაძეს აჭარის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ასლან აბაშიძემ გადასცა, მანვე სათითაოდ მიულოცა ფეხბურთელებს მორიგი წარმატება.

აქვე გეტყვით, რომ გუშინწინდელ მატჩს თასების თასზე ბათუმელთა პირველი მეტოქის იუგოსლავური „პარტიზანის" მთავარი მწვრთნელი ლიუბიშა ტუბაკოვიჩი ესწრებოდა. მასთან ინტერვიუს ხვალინდელ „სარბიელში" გაახლებთ.



ბაჩო ჯეთილაძის ფოტო

აკობია ხურცილავას: რა ვქნათ, კალისტრატოვიჩ?

ბაჩო ჯეთილაძის ფოტო

„ბათუმს" ისრაელიდან დაბრუნებულმა თემურ ტუღუშმა (10) გაამარჯვებინა

ნუგზარ მიქაბერიძე: ჩემი წასვლის დროც მოსულა

მას შემდეგ, რაც ფოთის „კოლხეთმა" უეფას თასზე კატასტროფულად, ორი შეხვედრის ჯამში 0:11 წააგო იუგოსლავიურ „ცრვენა ზვეზდასთან", ზღვისპირელთა ხელმძღვანელობამ მიზანშეწონილად ჩათვალა გუნდის გადახალისება. ფოთელმა ვეტერანებმა მამუკა გვასალიამ, დათო მახარაძემ, ბაადურ კაკაჩიამ და გასულ სეზონში „კოლხეთის" საუკეთესო ბომბარდირმა, 13 გოლის გამტანმა ნუგზარ მიქაბერიძემ ფეხბურთისთვის თავის დანებება გადაწყვიტეს. თითოეულ მათგანს დიდი ღვაწლი მიუძღვის „კოლხეთის" წინაშე, მაგრამ ამათგან გამორჩეული, ალბათ, მაინც მიქაბერიძეა. ტურა ჯერ კიდევ საბჭოური ჩემპიონატებიდან ახსოვთ ფეხბურთის გულშემატკივართ, როდესაც ლანჩხუთის „გურიაში" ბურთაობდა, ეროვნული ჩემპიონატის დაწყების დღიდან 1992 წლამდე კი ისევ გურულებისთვის ირჯებოდა. ამის შემდეგ მისი კოლხური ოდისეა დაიწყო, მიქაბერიძეც ზღვისპირელებს დღემდე, უფრო სწორად, „ცრვენა ზვეზდასთან" საპასუხო მატჩამდე ემსახურებოდა და გუნდსაც თავაწეული ტოვებს. მავანმა იქნებ თქვას, ასეთი რა მოხდა, ბოლობოლო, საქართველოს არ გასცდენიაო, მაგრამ შეგახსენებთ, ტურა ხუთი სეზონის მანძილზე „კოლხეთში" თამაშობდა და 67 გოლის გატანაც მოასწრო, აქედან 13 მარტო გასულ სეზონში და 35 წლის ფეხბურთელისთვის ამგვარი შედეგი ხუმრობა საქმე როდია. ასე რომ, ნუგზარ მიქაბერიძემ მე წავედიო.

გიორგი ვაშაკიძე

საფსებით შესაძლებელია, ამ დღეებში კიდევ ერთ კონტრაქტზე გაჩნდეს ქართული ხელმოწერა — ვლადიკავკაზის „ალანიადან" წამოსული დავით ჩალაძე ამჟამად არჩილ არველაძის „ბრედაში" ვარჯიშობს, გუშინწინ ამხანაგური მატჩიც უთამაშია და მწვრთნელთათვის თავის მოწონებაც მოუსწრია.

ჩალაძე მოსწონთ, ოღონდ არ ჩქარობენ

როგორც არჩილ არველაძემ გვითხრა, ჰოლანდიელები ჩალაძით კმაყოფილი ყოფილან, მაგრამ რამდენიმე ამხანაგურ მატჩში კიდევ უპირებენ გამოცდას, რათა საბოლოოდ დარწმუნდნენ მის კარგ ფეხბურთელობაში.

რაც შეეხება „აიაქსს", ამსტერდამელები 2 აგვისტოს გერმანიას ესტუმრნენ და იქაურ მონხენგლადბახის „ბორუსიას" ამხანაგურად 3:1 მოუგეს. ერთი ჩვეული გოლი გიო ქინქლაძემ შეაგდო, ხოლო ტობიასენსა და ლიტმანენს შოთა არველაძემ გაატანინა. ქინქლაძე უკვე გამხდარა ამსტერდამელ ფანთა კუმირი და მასზე ნარი-ნარი ლექსებიც კი შეუთხზიათ, ხოლო შოთაზე ლაპარაკიც ზედმეტია, ეიმისოდ „აიაქსი" ვეღარც წარმოუდგენიათ.

ძოგა ინასარიძე

ატლეტიკმა გულვარში ისეირნოს

საქართველოს უცვლელ ჩემპიონ თბილისის „დინამოს" მართლაც მძიმე დროება უდგას. წაგება საქართველოს თასის ფინალში, მარცხი ალბანეთში, იქაურ „ვლაჟნიასთან" და ბოლოს, სუპერთასის „ბათუმისთვის" დათმობა უკვე მრავლისმეტყველია. ყველაფერი თითქოს ერთ სახელს უკავშირდება — „დინამოს" ახალ მწვრთნელ მურთაზ ხურცილავას. ორი ტიტულის ზედიზედ სხვისთვის გადაბარება „დინამოსთვის" უჩვეულოა, მისგან მუდამ გამარჯვებებს ითხოვენ, მაგრამ...

საქმეს ცუდი პირი უჩანს. „დინამოს" ახლანდელი წაგებები სულ მალე იქნებ სანატრელიც გაგვიხდეს. ჩვენს ჩემპიონს ახლა უკვე ხომ ბილბაოს „ატლეტიკი" ელის. „ატლეტიკი", რომლიც დაუნდობელ ბრძოლას გვპირდება, მოგებასა და გოლების წვიმას. საწყენია, რა თქმა უნდა, თანაც ორმაგად, როცა იცი, მათთან მოსაგები, ფაქტობრივად, შანსიც აღარაა. „დინამომ" გუნდის გაძლიერება კი გადაწყვიტა, მაგრამ მაინც ძნელი სარწმუნოა, ჩვენებმა ბასკებს რაიმე დააკლონ. დაგვრჩა ოდენ იმედი, იქნებ... აი, ამ „იქნების" გვეიმედება.

მურთაზ ხურცილავამაც ამად დაგვიბარა დიღმის ბაზაზე, მობრძანდით, პრესკონფერენციას ვმართავო. მწვრთნელი კარგ ხასიათზე დაგვიხვდა, ერთი-ორჯერ ენამოსწრებულადაც გაიხუმრა, მერე კი დაიწყო.

— მე რომ მკითხოთ, აქამდე ევროტურნირების საკვალიფიკაციო ეტაპზე „დინამოს" მეტოქეთაგან პირველ ყოვლისა „ვლაჟნიას" გამოვარჩევდი. ალბანელები გაცილებით ძლიერები იყვნენ, ვიდრე „კრუზეიდერსი", „გრევენმახერი" და სხვა მათნაირები. თუმცა ტირანაში ჩვენს მარცხს გამართლება არა აქვს. სიცხის, უძილობისა და მსაჯობის მიუხედავად ფეხბურთელი ვალდებულია, ბოლომდე ვაჟკაცურად ითამაშოს. ესენი კი... ბოლო წუთებზე, როცა იგრძნეს, „ვლაჟნია" დიდი ანგარიშით მომგები არ იყო, მოეშვნენ, დადგნენ. ყოველივე არაპროფესიონალიზმზე მეტყველებს.

ალბანური ფეხბურთის დონეზე რომ ვლაპარაკობთ და ჩვენი მარცხი გვიკვირს, ერთი საკუთარ ჩემპიონატსაც შეხედოთ. რა ხდება საქართველოში? კარგი ფეხბურთელი ვინც იყო, ყველა უცხოეთში გადაბარგდა. აქ თამაში აღარავის სურს. არადა კლუბს, ნორმალური შედეგის მისაღწევად სამი-ოთხი ლიდერი უნდა ჰყადეს, ისეთები, რომლებიც გუნდის თამაშს განსაზღვრავენ. საქმე იქითკენ მიდის, რომ მომავალ წელს ისიც აღარ გვექნება, რაც წლეულს. აგერ ფოთის „კოლხეთის" მაგალითი აიღეთ, სულ რომ მსოფლიოს ჩემპიონს ეთამაშებოდე, ასეთი ანგარიშით მარცხი შეიძლება? ყველაფერი ჩემპიონატის დაბალი დონის ბრალია. ეს ფეხბურთელები საქართველოს კვალობაზე არიან ძლიერები, თორემ ევროპაში როგორც თამაშობენ, ახლაც კარგად გამოჩნდა.

აგინებენ ამ „დინამოს" ხელმძღვანელებს და არიან. ეს ახალგაზრდა ბიჭები გაუკეთებელს აკეთებენ, ნემსის ყუნწში ძვრებიან, რათა ფეხბურთელებს პირობები შეუქმნან, ყოველთვიურად 40 ვეტერანს ეხმარებიან და შეძლებისდაგვარად ყველას ყველაფერით უზრუნველყოფენ. სხვა გუნდებთან შედარებით დინამოელ ფეხბურთელებს საწუწუნო არაფერი აქვთ. ისევ და ისევ დირექტორატის წყალობით „დინამო" დღემდე მოვიდა. მავანნი კი მათ წინააღმდეგ სასტიკად იბრძვიან, ცდილობენ, ესენი ფეხბურთს ჩამოაშორონ. მოდით, ერთად დავდგეთ, უკმეხი განცხადებებით ერთმანეთს გულს ნუ ვატკენთ, ავაღორძინოთ ქართული ფეხბურთი. ისე არ გაიგოთ, თითქოს ხურცილავა „დინამოს" მწვრთნელია და ამიტომ ლაპარაკობს ასეთ რაღაცეებსო. არა, მე ყოველთვის ამას ვამბობდი და მომავალშიც ასე მოვიქცევი, იმიტომ, რომ „დინამოს" უფროსობა ბევრისთვის მისაბაძია.

რაც შეეხება გუნდს, ფეხბურთელებს, ჩემებურ საწვრთნელ პროცესს, ეტყობა, მიუჩვეველნი არიან. ჩემი დატვირთვები, რეჟიმი ბიჭებისთვის შეიძლება მიულებელია, მაგრამ დღევანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, ასეა საჭირო. მომავალზე ვფიქრობ. „ბათუმთან" სუპერთასის წინაც საკმაოდ ინტენსიურად ვავარჯიშე გუნდი. იქნებ მატჩის წინ უნდა დაესვენათ კიდეც, მაგრამ ნუ დაგვიწყდება, ათიოდ დღეში ბილბაოს „ატლეტიკთან" გაჯიბრება გველის. მათთან სირცხვილი კი ნამდვილად არ მინდა.

სისულელე იქნება ვთქვა, „ბათუმში" მოგება არ გვინდოდაო. გვინოდოდა, თანაც ძალიან, თუმცა იმ თამაშს უფრო სარეპეტიციო ხასიათი ჰქონდა. ბათუმში გოჩა ჯამარაულის დაყენებასაც ვაპირებდი, მაგრამ სანქციების შეშინდა, არადა, მისი „დინამოში" თამაში თითქმის გადაწყვეტილია. მატჩის მიმდინარეობა „დინამოში" დაბრუნებული გიორგი კიკნაძისა და ბათუმელყოფილი ივანე მახარაძის შეცვლასაც მოითხოვდა. ისინი უვარჯიშებელნი არიან, მეორე ტაიმში შესაძლებლობების ნახევარიც ვერ გამოავლინეს, თუმცა მათი იმედი მაქვს და „ატლეტიკთან" სა-

სხვების პრობლემა

ინგლისი სუპერლიგის სასტიკი წინააღმდეგია. უეფას ჯერ არც დაუმტკიცებია სუპერლიგა ტურნირად, ალბიონელებმა კი ემანდ შემდგომში გვიან არ იყოსო და განგაშის ზარს პირველებმა შემოჰკრეს.

— ინგლისელები, ტრადიციონალისტი ხალხი ვართ. ჩვენთვის ძნელია ძველიდან ახალზე უცბად გადართვა. გარკვეულწილად გვეძნელება კიდეც ახლის გათვითცნობიერება, მასთან შეგუება. სუპერლიგა, რაც უნდა კარგი იყოს, ჩვენთვის მაინც მიუღებელია. იგი პრემიერლიგას საფრთხეს უქმნის, ინგლისი კი მავანთა ახირების გამო თავის საქმეს არ გაიფუჭებს — ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის თავმჯდომარემ კეიტ უაისმენმა გარკვეულწილად გამოხატა ინგლისელთა აზრი.

მაინც, რა არის ასეთი ეს სუპერლიგა, ინგლისელები საშინლად რომ აღაშფოთა?

უეფამ, კონტინენტის უძლიერესი კლუბების წინადადებით შეიმუშავა ახალი ევროთასის პროექტი, სახელად „სუპერლიგა", რომელმაც თითქოსდა ჩემპიონთა ლიგა უნდა შეცვალოს. სუპერლიგის არსი იმაში მდომარეობს, რომ გათამაშება ჩემპიონატისმაგვარი იქნება, გაგრძელდება მთელი სეზონის მანძილზე, ამავდროულად გააერთიანებს 16 გუნდს. იგი ჩვეულებრივი ჩემპიონატისგან იმით განსხვავდება, რომ რჩეული 16 გუნდიდან არავის დაემუქრება გავარდნა. სუპერლიგაში მონაწილეობა ძირითადად ფინანსური თვალსაზრისით განისაზღვრება.

— უეფას, როგორც ჩანს, მხოლოდ ფული აინტერესებს. ამ ბოლო დროს ფეხბურთზე ნაკლებად ფიქრობს. საინტერესოა, განა ფეხბურთისთვის სარგებლიანი იქნება 16 კლუბის ხარჯზე ასობით გუნდის დაკნინება? ვფიქრობ, არა. ან კი საერთოდ, რანაირი ლიგაა სუპერლიგა, თუ იქიდან არავინ ვარდება და არც არავის ეძლევა მასში აღზევების უფლება? — გაკვირვებულა უეფას სიახლე „ნიუკასლის" თავკაცმა კენი დალგლიშმა.

ევროპის ფეხბურთის ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი გრემ კელი რამდენიმე დღის წინ უეფას წარმომადგენლებს შეხვდა და სუპერლიგაში ინგლისელთა მონაწილეობაზე ისაუბრა. როგორც ცნობილია, სუპერლიგის სამი კანდიდატი — „არსენალი", „მანჩესტერ იუნაიტედი" და „ლივერპული" ფეხბურთის ასოციაციამ გადაიბირა და უეფას ახალ ტურნირს განუყენა. მეტიც, სამივე გუნდს და საერთოდ, იმ ინგლისურ კლუბებს, რომლებიც სუპერლიგაში თამაშს მოისურვებდნენ, განუცხადა, შესაძლო პრემიერლიგიდან მოიკვეთოთო. კაცმა რომ თქვას, სუპერლიგაში მონაწილეობის დიდი სურვილი არც ერთ პრემიერლიგურ გუნდს გამოუთქვამს.

ალექს ფერგიუსონი

სარბიელის არქივიდან

— ჩვენ ვისაუბრეთ სუპერლიგაში ჩვენი კლუბების მონაწილეობის თაობაზე, მაგრამ კონსენსუსს ვერ მივაღწიეთ. სამწუხაროდ, საერთო აზრი არ აღმოგვაჩნდა და ამ ეტაპზე დაშორება ვარჩიეთ, თუმცა არაა გამორიცხული, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციასა და უეფას წარმომადგენლებს შორის ამ საკითხებზე მოლაპარაკება კვლავ გაგრძელდეს — განაცხადა გრემ კელიმ.

2000 წლამდე, ანუ სუპერლიგის დაწყების სავარაუდო თარიღამდე ორი წელია დარჩენილი. მანამდე შეიძლება ბევრი რამ შეიცვალოს. შესაძლოა, დაპირისპირებულმა უეფამ და ინგლისელებმა შეთანხმებას მიაღწიონ. ისიც დასაშვებია, სუპერლიგა ინგლისელთა გარეშე გათამაშდეს, თუმცა ჯერჯერობით მთავარი ისაა, ამოქმედდება თუ არა სუპერლიგა საერთოდ.

— გულშემატკივრები დღესაც დიდი აღტაცებით იხსენებენ „იუვენტუსთან", „ღორტმუნდთან" და სხვა ევროგრანდებთან მატჩებს. ჩვენ და ფანებსაც გვიხარია იმ ორთაბრძოლების გახსენება, მაგრამ განა სუპერლიგაში იმავე „იუვენტუსთან" შეხვედრებს ისეთივე ელფერი ექნება, როგორც ჩემპიონთა ლიგაში? არამც და არამც. სხვისი არ ვიცი და „მანჩესტერ იუნაიტედისთვის" პირველობად პრემიერლიგაც საკმარისია, ევროტურნირს კი თავისი სახე უნდა შეუნარჩუნდეს. მე, როგორც სუპერლიგის კანდიდატი კლუბის მწვრთნელს, გუნდის გათამაშებაში მონაწილეობა არ მსურს — ოღდ ტრეფორდელთა შოტლანდიელი თავკაცი ალექს ფერგიუსონი სუპერლიგის სასტიკი წინააღმდეგია. საუბრის ბოლოს მან ისიც დასძინა, მართალია, გათამაშება გვარიან ფინანსურ მოგებას მოგვიტანს, მაგრამ ეს ერთხელ და ორჯერ მოხდება, მთლიანობაში კი „მანჩესტერ იუნაიტედი" და ინგლისური ფეხბურთი წაგებული დარჩებაო.

ბოლო დროს უეფას მართლაც იზიდავს ფინანსურად მომგებიანი პროექტები. სუპერლიგა უდიდესი თანხის შოვნის ჯერჯერობით განუხორციელებელი ერთ-ერთი პროექტია. 2000 წლამდე უთუოდ ბევრი რამ გაირკვევა, თუმცა სუპერლიგაზე უფრო ძლიერთა ამა ქვეყნისათა უნდა ინერვიულონ. ქართულ კლუბებს (და არა ფეხბურთელებს) ხომ იქ არაფერი ესაქმებათ.

ლაზა გოდუაძე

სარბიელი
სპორტული ლატარია
"CROCO"

ინტერტოტო. საპასუხო მატჩები
5 აგვისტო

დებრეცენი — რუხი	(1,8-1,6)	1,8	2,9	4,2
სამპდორია — ბოლონია	(2,5-1,35)	1,6	3,0	5,6
სამსუნსფორი — ვერდერი	(15,0-1,01)	1,9	3,0	3,5
ვოივოდინა — ბასტია	(7,5-1,05)	2,0	2,9	3,4
ვალენსია — ესპანიოლი	(1,05-7,5)	1,7	2,8	5,3
ზალცბურგი — სიტარდი	(1,6-1,8)	1,8	2,8	4,4

ავსტრიის ჩემპიონატი. III ტური
5 აგვისტო

აუსტრია — რიდი	1,25	4,4	8,0
ლინცერი — გრაცერი	1,9	2,9	3,6
შტაირი — რაპიდი	5,0	3,2	1,6
შტურმი — ლუშტენაუ	1,1	6,0	12,0

გერმანიის ლიგის თასის ფინალის კოეფიციენტებს გაეცნობით ადგილზე.

კალათბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩების კოეფიციენტებს გაეცნობით ადგილზე.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დაზუსტდეს.

ისინი ბრუნდებიან

რუმინეთის ჩემპიონატში წლეულს დიდი ცვლილებებია მოსალოდნელი. გარდა იმისა, რომ მისი დონე საგრძნობლად დაქვეითდა, რამაც ქვეყნის წამყვან ფეხბურთელთა უწყვეტი მიგრაცია გამოიწვია, რუმინეთი კორუფციამაც მოიცვა. შედეგად საკლუბო ფეხბურთი ნელ-ნელა უკანა პლანზე გადავიდა, საგრძნობლად იკლო რუმინეთის ჩემპიონატის მატჩებზე მაყურებელთა რაოდენობამ: თუ 1989 წლის სეზონში შეხვედრებს საშუალოდ 12 000 გულშემატკივარი ესწრებოდა, შარშან ეს მაჩვენებელი 2000-მდე შემცირდა. რუმინული კლუბები ვერც საერთაშორისო ტურნირებზე გადაურჩნენ თავის მოჭრას — 1997 წელს უეფას თასის გათამაშების ერთ-ერთ ეტაპზე ქვეყნის წამყვანმა გუნდმა ბუქარესტის „დინამომ" სამარცხვინოდ იასპარეზა და საშუალოზე დაბალი დონის ისლანდიურ „რეიკიავიკთან" დამარცხდა. სწორედ ამის მერე ჩამოჰკრეს განგაშის ზარს ფეხბურთის სპეციალისტებმა და პრესის წარმომადგენლებმა, რომლებმაც კატეგორიული მოთხოვნები წაუყენეს რუმინეთის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობას. ამ უკანასკნელმაც, ბევრი იფიქრა თუ ცოტა, გადაწყვიტა — ქვეყანაში უნდა დაბრუნდნენ უცხოურ კლუბებში მოთამაშე რუმინელი ვარსკვლავები და მაღალი დონის ფეხბურთელები, რათა ბოლო მოეღოს კორუფციასა და აურაცხელ ჩაწყობილ მატჩს, შედეგად კი ამაღლდეს ეროვნული ჩემპიონატის დონე და ხალხმაც კვლავ მიაშუროს სტადიონებს. პირველი ნაბიჯები ამისთვის უკვე გადაიდგა. როგორც ვარაუდობენ, რუმინეთის 77-ე ჩემპიონატი განსაკუთრებით დამბალი იქნება და უშედავათო ბრძოლაში ჩაივლის. ამასთანავე უკანასკნელ ექვს ჩემპიონატში იოლად გამარჯვებულ ბუქარესტის „სტიაუას" რამდენიმე სერიოზული კონკურენტი შეეცილება ჩემპიონობას: სამი თანაქალაქური გუნდი — „დინამო", „რაპიდი", „ნაციონალი" და კრაიოვას „უნივერსიტატია".

რაც შეეხება ევროპის წამყვან კლუბებში მოთამაშე რუმინელი ფეხბურთელების სამშობლოში დაბრუნებას, ამის შესახებ თავისი აზრი გამოთქვა „რაპიდის" მთავარმა მწვრთნელმა მირჩეა ლუჩესკუმ, რომელიც თავად მხოლოდ შარშან დაბრუნდა ქვეყანაში, მანამდე კი შვიდი წლის განმავლობაში იტალიის სერია A და B-ს გუნდებს წვრთნიდა: „ჩვენი საუკეთესო ფეხბურთელების ჩამოსვლას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს. პირველ ყოვლისა, საგრძნობლად ამაღლდება ჩემპიონატის დონე, გაიზრდება ინტერესი და კონკურენცია და, ბოლოსდაბოლოს, რუმინული ფეხბურთის შელახული რეპუტაცია კვლავ აღდგება" — განაცხადა ლუჩესკუმ საგენტო „რეიტერისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

აღსანიშნავია, რომ რამდენიმე წამყვანი ფეხბურთელი უკვე დაუბრუნდა მშობლიურ კლუბს — მიოდრაგ ბელოდედიჩმა, რომელიც ჯერ კიდევ კომუნისტური რეჟიმის დროს წავიდა რუმინეთიდან და ათი წლის განმავლობაში უცხოურ კლუბებში გამოდიოდა, „სტიაუასთან" გააფორმა კონტრაქტი, იტალიურ „ბრეშიაში" მოთამაშე ნახევარმცველი ოვიდიუ საბაუ ამიერიდან „რაპიდის" ღირსებას დაიცავს, ხოლო თავდამსხმელმა იოან ვლადოიუმ და ნახევარმცველმა იონუტ ლუპესკუმ ბუნდესლიგა დატოვეს და ბუქარესტის „დინამოში" ჩაირიცხნენ.

თავისი აზრი რუმინული ფეხბურთის განვითარებასთან დაკავშირებით ლუპესკუმაც გამოთქვა. იგი ადრეც თამაშობდა „დინამოში", რის შემდეგაც, 1991 წელს, გერმანიას მიაშურა: „რუმინელი ფეხბურთელები, რომლებიც უცხოურ კლუბებში ირჯებოდნენ და სოლიდურ გასამრჯელოს იღებდნენ, სამშობლოში ბრუნდებიან, რაც ძლიერ სასიხარულოა. ეს პროცესი უნდა გაგრძელდეს. ამ მოთამაშეებისთვის ფულს ისეთი დიდი მნიშვნელობა აღარა აქვს, ახლა მათ ეროვნული ფეხბურთის დონის ამაღლებაზე უნდა იზრუნონ. პირადად მე მხოლოდ იმიტომ დავბრუნდი, რომ ჩემს ყოფილ გუნდს „დინამოს" ჩემპიონობისთვის ბრძოლაში დავეხმარო და ევროპულ სარბიელზეც ღირსეულად ვასპარეზო. დარწმუნებული ვარ, თუ რუმინეთის ჩემპიონატშიც ისეთივე ატმოსფერო იქნება, როგორიც ბუნდესლიგაში, გულშემატკივარი კვლავ ივლის სტადიონზე" — აღნიშნა ლუპესკუმ.

ხმების თანახმად, რუმინეთში დაბრუნებას კიდევ რამდენიმე მოთამაშე, მათ შორის, ნაკრების წევრიც აპირებს.

დახვედრაც ასეთი უნდა

საფრანგეთის ნაკრების მცველი, წლეულს ჩატარებული მსოფლიოს ჩემპიონატის ერთ-ერთი ტრიუმფატორი ბიქსენტ ლიზარასუ 2 აგვისტოს მიუნხენში ჩავიდა, სადაც „ბაიერნის" ხელმძღვანელობამ ჩინებული შეხვედრა მოუწყო. „მსოფლიოს ჩემპიონობა უმაღლესი ტიტულია ყოველი ფეხბურთელისთვის. იყო მსოფლიოში პირველი, ეს მართლაც საოცარია. როგორია ამ ჯილდოთი გამოწვეული სიხარული, ეს „ბაიერნში" მათეუსმა იცის. იგი გეტყვით, რას ნიშნავს პლანეტის ჩემპიონობა" — ემოციებს ვერ მალავდა 28 წლის მცველი საგანგებოდ მისთვის გამართულ საღამოზე, რომლის მშვენებაც უზარმაზარი ტორტი იყო. ათი დღე ვიზეიმეთ გამარჯვება, შემდეგ „ბაიერნის" ხელმძღვანელობას განტვირთვისთვის ერთკვირიანი შვებულება ვთხოვე. სხვა კლუბებისგან განსხვავებით, რომლებმაც ჩემს თანაგუნდელებს ამის უფლება არ მისცეს, მიუნხენელებისგან თანხმობა მივიღე" — კმაყოფილი ჩანდა წარმოშობით ბასკი ფეხბურთელი. მეორე დღეს კი ლიზარასუ ვარჯიშს შეუდგა. მას და სხვა ბავარიელებს წინ მძიმე სეზონი ელით, ორ კვირაში ბუნდესლიგის მორიგი ჩემპიონატი იწყება, სადაც მიუნხენურმა კლუბმა უდიდესი ამოცანები უნდა გადაჭრას. მოთამაშეები არც მალავენ, რომ მათი მთავარი მიზანი გერმანიის და ევროპის საფეხბურთო მწვერვალების დაპყრობაა. „როდესაც ფეხბურთელი მსოფლიოს ჩემპიონი ხდება, მას სხვა ტიტულების მოპოვების სურვილიც უჩნდება. წლეულს გერმანიის ჩემპიონობა მსურს, არც ჩემპიონთა თასის მოგებაზე ვიტყოდი უარს" — დაიმორცხვა ბოლოს ფრანგმა.

ვანო ოქროპირიძე

ფეიცარია

I ტური

არაუ 2:6 სენტ გალენი

0:1 გილი (17), 0:2 ნაჯანი (11), 1:2 ივანოვი (48), 1:3 გილი (53), 1:4 ვურენსი (59), 1:5 სლავჩევი (64), 2:5 სკრზიპჩიკი (66), 2:6 კონტინი (70)

ლუგანო 1:2 ლოზანა

1:0 გიმენეზი (15), 1:1 უდოვიჩი (30), 1:2 ტურე (69)

ლუცერნი 0:0 იანგ ბოისი

ციურიხი 1:1 ძსამაძსი

0:1 ნდო (33), 1:1 ნიქსონი (62)

სერვეტი 3:1 ბაზელი

1:0, 2:0, 3:0 რეი (133, 19, 23), 3:1 გონსალვეში (84)

სიონი 0:1 გრასჰოპერი

0:1 ტიკვა (80)

გრასჰოპერი: ცუბერბიულერი, ჰაასი, გრენი, სმილიანიჩი, კრისტი, ფოგელი, ტიკვა, ტარარახე, ყაველაშვილი (კაბანასი 86), ნკუფო, დე ნაპოლი (მანინი 67)

„გრასჰოპერმა", ეტყობა, მოკლევადიანი კრიზისი დაძლია, კვირას შვეიცარიის ჩემპიონატის მეოთხე ტურში სტუმრად „სიონთან" ზედიზედ მეოთხედ გაიმარჯვა, თუმცა აქედან ორი მოგება ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე ლუქსემბურგის „ჟენესთან" მოიპოვა. „სიონთან" „კალიების" შემადგენლობაში ჩვენებურთაგან მხოლოდ მიხეილ ყაველაშვილი იყო, ნემსაძეს ტრავმის გამო კვლავ არ უთამაშია. მესაძე ტურში „ლუგანოსთან" მოედანზე გასვლა ძვირად დაუჯდა თურქილმაზს, რომელსაც ტრავმა გაუმიზეზდა და გარკვეული დროით დასვენება მოუწევს.

რაც შეეხება თავად მატჩს, იგი სტუმართა უპირატესობით დაიწყო და მთელი პირველი ტაიმი ასეც გაგრძელდა. ციურიხელებმა უმრავი მომენტი ვერ გამოიყენეს. ტიკვას დარტყმული მასპინძლებმა სულაც კარის ხაზიდან გამოიტანეს. 27-ე წუთზე ნკუფომ ტიკვას პასით კი გაიტანა, მაგრამ მსაჯმა არარსებული თამაშგარე მდგომარეობა დააფიქსირა. მეორე ტაიმში მოედანზე ვითარება შეიცვალა. მატჩის სადავეები „სიონმა" იგდო ხელთ, თუმცა გოლი საკუთარ კარში მიიღო. მე-80 წუთზე მანინ-ნკუფო-ტიკვას კომბინაცია ამ უკანასკნელის მიერ მასპინძელთა კარში დალაშქვრით დასრულდა. ეს შეხვედრა მიმდინარე ჩემპიონატში პირველი იყო, რომელშიც „კალიებს" ბურთი არ გაუშვიათ. წინა სამ თამაშში „გრასჰოპერმა" შვიდი გოლი მიიღო, რაც მისი დაცვის სისუსტეზე მიუთითებს.

სხვა მატჩებიდან აღსანიშნავია საკუთარ მოედანზე „არაუს" გამანადგურებელი მარცხი სენტ გალენთან — 2:6. პირველი ქულა მოიპოვა „ციურიხმა", რომელიც ნიქსონის გოლმა ზედიზედ მეოთხე წაგებისგან იხსნა.

ჩემპიონატის ლიდერმა „სერვეტმა" კვლავ გაიმარჯვა. ამჯერად მას „ბაზელი" ემსხვერპლა. თამაშის გმირი მასპინძელთა თავდამსხმელი რეი გახდა, რომელმაც სამი გოლი გაიტანა. ჰეთ-თრიქის შესრულებას ფეხბურთელმა ოდენ ათი წუთი მოანდომა.

	ვანო		ოქროპირიძე			
სერვეტი	4	4	0	0	10:5	12
სენტ გალენი	4	3	1	0	13:5	10
ლოზანა	4	2	2	0	7:5	8
გრასჰოპერი	4	2	1	1	7:7	7
ქსამაქსი	4	1	3	0	3:2	6
ლუცერნი	4	1	2	1	7:7	5
არაუ	4	1	1	2	9:9	4
იანგ ბოისი	4	1	1	2	4:5	4
ბაზელი	4	1	1	2	3:9	4
სიონი	4	0	2	2	1:4	2
ლუგანო	4	0	1	3	5:8	1
ციურიხი	4	0	1	3	4:7	1

ავსტრია

მე-2 ტური. აუსტრია — შტაირი 4:1; ლუსტენაუ — ტროლი 2:2; რიდი — შტურმი 0:1; ზალცბურგი — ლინცერი 1:3; გრაცერი — რაპიდი 1:1

ლინცერი	2	2	0	0	6:1	6
შტურმი	2	2	0	0	3:0	6
ტროლი	2	1	1	0	3:2	4
გრაცერი	2	1	1	0	2:1	4
აუსტრია	2	1	0	1	4:3	3
რაპიდი	1	0	1	0	1:1	1
ალუსტენაუ	2	0	1	1	2:5	1
ზალცბურგი	1	0	0	1	1:3	0
რიდი	2	0	0	2	0:2	0
შტაირი	2	0	0	2	1:5	-3

შტაირმა ფინანსური დარღვევების გამო ჩემპიონატი დაიწყო -3 ქულით.

შოტლანდია

I ტური

ჰარტსი 2:1 რეინჯერსი

1:0 ადამი (6), 2:0 ჰამილტონი (20), 2:1 უოლესი (28)

სელტიკი 5:0 დანფერმლაინი

1:0 ბარლი (45), 2:0 დონელი (58), 3:0 მაკკეი (83), 4:0, 5:0 ბარლი (84, 88)

დანდი 0:2 აბერდინი

0:1 ჯესი (21), 0:2 ჰინეტი (25)

კილმარნოკი 2:0 დანდი იუნ.

1:0 რაიტი (32), 2:0 ნევინი (72)

მოზერველი 1:0 სენტ ჯონსტონი

1:0 სტერლინგი (49)

ნორვეგია

მე-16 ტური. კონგსვინგერი — სტაბეკი 1:5, მოსი — ბოდო გლიმტი 0:1, ტრომსო — ვიკინგი 1:2, რუსენბორგი — ჰაუგესუნდი 1:0, ვალერენგა — ლილესტრიომი 1:5, სტრომსგოდსეტი — სოგნდალი 2:1, მოლდე — ბრანი 2:2.

მოლდე	16	10	6	0	46:18	36
რუსენბორგი	15	11	2	2	46:15	35
სტაბეკი	16	10	3	3	34:16	33
ვიკინგი	16	9	3	4	38:26	30
ბოდო გლიმტი	16	6	6	4	31:29	24
ლილესტრიომი	16	6	5	5	25:31	23
ტრომსო	16	6	4	6	30:27	22
სტრომსგოდსეტი	16	5	4	7	24:37	19
მოსი	16	6	1	9	17:34	19
კონგსვინგერი	14	5	2	7	20:29	17
ბრანი	16	2	7	7	20:26	13
ვალერენგა	16	3	3	10	25:39	12
ჰაუგესუნდი	15	3	2	10	24:30	11
სოგნდალი	16	2	4	10	16:39	10

EURO 2000

ჩვენი ჯგუფი

ბერძნის დაწინაურება

ვასილის ცარტასი, საბერძნეთის ეროვნული გუნდის ნახევარმცველი. აქამდე „სევილიაში“ თამაშობდა, ამიერიდან კი იქვე, ესპანეთში, სანტანდერის „რასინგი“ განაგრძობს ომოლვაწეობას.

მოკლედ, ცარტასმა პრიმერა დივიზიონში დაიბრუნა ადგილი, რაც ვერ მოახერხა „სევილიამ“, სადაც იგი ორი წელიწადის განმავლობაში გამოდიოდა.

ორი წლის წინ ბერძენი ნახევარმცველი ათენის აეკ-ში ქართველი თემურ ქეცბაიას თანაგუნდელი გახლდათ. ესპანეთში გადაბარგებით მან დიდი სახელი ვერ დაიგდო, მაგრამ აგერ, „რასინგმა“ მაინც ისურვა მისი შეძენა და საამისოდ 4,5 მილიონი დოლარი გაიღო.

ცარტასს „სევილიაში“, მეორე დივიზიონში გატარებული სეზონი უკეთესი ჰქონდა, ვიდრე პირველი, რომელიც უმაღლეს ლიგაში გაატარა. 34 შეხვედრაში 8 გოლი გაიტანა.

ცარტასთან ერთად „სანტანდერში“ გადადის თავდამსხმელი სალვადორ ბალესტაც.

სანდი პირველია

დანიის ნაკრების ცენტრალური თავდამსხმელი ებე სანდი ქვეყნის საუთესო ფეხბურთელად აღიარეს. 26 წლის ფეხბურთელმა მნიშვნელოვნად გაუსწრო კონკურენტებს. კერძოდ, სანდიმ 253 მიიღო, მეორეზე კი 161 ხმით მიქაელ ლაუდრუპი გავიდა, რომელსაც აქტიური კარიერის დასრულება გადაუწყვეტია. თომას ჰელვეგმა 91 ხმა მიიღო ხოლო მიხაელ შოინბერგმა — 66.

ებე სანდი გასულ სეზონში მართლაც ბრწყინვალედ გაირჯა. ჩემპიონატში „ბრონდბიუს“ თავდამსხმელმა 33 თამაშში 28 გოლი გაიტანა. მან მსოფლიოს ჩემპიონატზეც გამოიჩინა თავი. საფრანგეთამდე სანდიმ ნაკრებში ერთადერთი მატჩი ჩაატარა, მაგრამ გამოუცდელობას ხელი არ შეუშლია, ძმებ ლაუდრუპებთან ერთად გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო ყოფილიყო. მერვედფინალში ნიგერიელების განადგურებაში ფეხბურთელმა ლომის წილი დაიდო, შეცვლაზე ნახევარი წუთის შესული სანდის მიერ გატანილი ულამაზესი გოლი კი მართლაც დაუვიწყარია. დანიის საუკეთესო ფეხბურთელი სამშობლოში დარჩენას აღარ აპირებს და პრემიერლიგის კლუბების მიერ შეთავაზებულ წინადადებებს გულმოდგინედ განიხილავს.

რუსეთი

დინამო 0:3 ცსკა

0:1, 0:2 საველიევი (21, 29), 0:3 ფილიპენკოვი (90)

ზენიტი 0:1 როტორი

0:1 ბოროდინი (85)

ჟემჩუჟინა 1:4 სპარტაკი

0:1 პისარევი (47), 0:2 იეშჩენკო (73), 0:3, 0:4 ციმბალარი (76, 84), 1:4 კუტარბა (85)

ალანია 6:0 ტიუმენი

1:0 ჩაიკა (12), 2:0 დემეტრაძე (17), 3:0 იანოვსკი (31), 4:0 ედუ (39), 5:0 იანოვსკი (48), 6:0 დემეტრაძე (77)

ლოკომოტივი 2:0 ტორპედო

1:0 ჯანაშია (25), 2:0 ჩუგაინოვი (88პ)

კრილია 1:0 როსტსელმაში

1:0 ავერიანოვი (70)

ჩერნომორეცი 2:1 შინიკი

0:1 სერებრიანნიკოვი (3), 1:1 დიომინი (13), 2:1 სპანდერაშვილი (66)

ურალანი 2:1 ბალტიკა

0:1 სედნევი (55), 1:1 ლუხვიჩი (86), 2:1 ბახტინი (89)

ამ ტურში უმთავრეს ინტერესს სანკტ პეტერბურგსა და სოჭში ლიდერთა მონაწილეობით გამართული მატჩები იწვევდა. თუ „ზენიტი“ — „როტორის“ შეხვედრამ აშკარად გაამართლა გულშემატკივართა იმედები, ამას ვერაფრით ვიტყვით „ჟემჩუჟინასა“ და „სპარტაკის“ დაპირისპირებაზე. სოჭელებმა, ფაქტობრივად, ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწიეს მეტოქეს, რომელიც, სხვათა შორის, ერთადერთია რუსეთის ჩემპიონატში, „ჟემჩუჟინამ“ რომ დღემდე ვერაფრით დაამარცხა.

პირველ ტაიმში ასე თუ ისე თანაბარი ბრძოლა მიმდინარეობდა, მაგრამ შესვენების შემდეგ სტუმრების მიერ გატანილმა სწრაფმა გოლმა ყველაფერი არია. ჟემჩუჟინელები დაიბნენ და ფილიმონოვის კარის დალაშქვრა ქაოსური ზეწოლით მოინდომეს. თუმცა ის დაავიწყდათ, რომ რუსეთში ასეთ ღია თამაშში „სპარტაკს“ ბადალი არ ჰყავს. რომანცევის შეგირდებმაც სამაგალითოდ დასაჯეს გათავხედებული სოჭელები და კიდევ სამი ბურთით „დააჯილდოვეს“. მოკლედ, „სპარტაკს“ გამარჯვება არ გასჭირვებია, რითაც კიდევ უფრო მიუახლოვდა ჩემპიონის სანუკვარ ტიტულს.

„სპარტაკის“ წინ გაჭრის მიზეი კი „ზენიტის“ მარცხი გახლავთ. რუსეთის ეროვნული ნაკრების ახალდანიშნული მწვრთნელის, ანატოლი ბიშოვეცის აღსაზრდელებმა დიდი უპირატესობის მიუხედავად „როტორის“ მასირებული დაცვა ვერ დაძლიეს, ხოლო მატჩის მიწურულს მზაკვრული კონტრშეტევაც გაეპარათ და ვოლგოგრადელებს უაღრესად მნიშვნელოვანი სამი ქულა გაატანეს შინ.

უნდა ვთქვათ, რომ შაბათს რუსეთის მინდვრებზე ჩატარებულ შეხვედრებში ტრადიციულად ქართველმა ფეხბურთელებმაც გამოიჩინეს თავი. ამათგან ყველაზე აღსანიშნავი „ლოკომოტივში“ მოასპარეზე ზაზა ჯანაშიას წარმატებაა, რომელმაც, ფაქტობრივად, მარტომ დაამარცხა მოსკოვის „ტორპედო“. ჩვენებურმა პირველ ტაიმში 25-ე წუთზე გატანილი გოლის გარდა მეორეში პენალტიც დაიმსახურა, რითაც თანაგუნდელების ანგარიშის გაზრდაში დაეხმარა.

ჯანაშიას მხარი ალანიელმა გიორგი დემეტრაძემ და „ჩერნომორეცის“ ფორვარდმა ბადრი სპანდერაშვილმაც აუბეს. „ფეინორდის“ ყოფილმა მოთამაშემ ორი გოლის გატანით დიდი წვლილი შეიტანა ვლადიკავკაზელთა მიერ დაჩაჩანაკებული „ტიუმენის“ 6:0 განადგურებაში. ხოლო „როსტსელმაშის“ სკოლაგამოვლილმა სპანდერაშვილმა ამჯერად ნოვოროსიისკში იყოჩაღა და გადამწყვეტი ბურთის შეგდებით „ჩერნომორეცს“ ბოლო ოთხ ტურში პირველად გაამარჯვებინა.

აი, სამარელმა ზურაბ წიკლაურმა ვერ გაგვახარა. როსტოველთა კარში მან თერმეტმეტრიანი, სამწუხაროდ, არაზუსტად დაარტყა. თუმცა წიკლაურს შეუძლია იმით დაიმშვიდოს თავი, რომ „კრილია სოვეტოვის“ ფეხბურთელებმა თანაგუნდელის უიღბლობა არად ჩაგდეს და „როსტსელმაში“ მაინც დაამარცხეს 1:0.

	ირაკლი				ხმელიძე	
სპარტაკი	19	12	5	2	27:12	41
ზენიტი	19	9	7	3	29:14	34
ლოკომოტივი	19	9	5	5	21:13	32
როტორი	19	8	8	3	36:22	32
ალანია	19	8	7	4	32:19	31
ჟემჩუჟინა	19	8	5	6	21:21	29
როსტსელმაში	19	7	7	5	27:24	28
ურალანი	19	7	6	6	22:20	27
შინიკი	19	7	4	8	18:22	25
კრილია	19	7	3	9	16:25	24
ცსკა	19	6	5	8	24:20	23
ჩერნომორეცი	19	4	9	6	23:25	21
ტორპედო	19	4	8	7	19:24	20
ბალტიკა	19	4	7	8	17:28	19
დინამო	19	3	9	7	14:21	18
ტიუმენი	19	1	1	17	7:53	4

ბომბარდირები

ვერეტენნიკოვი (როტორი)	15
ოსიპოვი (როტორი)	9
მატვეევი (როსტსელმაში)	8
იანოვსკი (ალანია)	8
ციმბალარი (სპარტაკი)	8

იუგოსლავიის ნაკრების ახალ მწვრთნელად დაინიშნა ქვეყნის ოლიმპიური გუნდის თავკაცი მილაონ ზივადინოვიჩი. მან ამ თანამდებობაზე სლობიდან სანტრაჩი შეცვალა. მოგეხსენებათ, სანტრაჩი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ცუდი გამოსვლისთვის გააკრიტიკეს, თავის შემცვლელად მადრიდის „ატლეტიკოს“ გადამდგარ ხელმძღვანელს რადომირ ანტიჩს ასახელებდა, მაგრამ ანტიჩმა უარი განაცხადა. ახალი მწვრთნელი, ზივადინოვიჩი 54 წლისაა. ფეხბურთელობისას იგი ბელგრადის „ცრვენა ზვეზდაში“ თამაშობდა, შემდეგ კი რამდენიმე კლუბს (მათ შორის თურქეთში, კვიპროსსა და კუვეიტში) წვრთნიდა.

ფრანგი ჟაკ გლასმანი იმითაა ცნობილი, რომ 1993 წელს საქვეყნოდ განაცხადა, ჩემი გუნდის, „ვალენსიენის“ რამდენიმე ფეხბურთელი მარსელის „ოლიმპიკის“ ხელმძღვანელებს მოქრთამული ჰყავდათო. ეს მოხდა ამ ორი გუნდის თამაშის შემდეგ და მას ფრანგული ფეხბურთის უდიდესი სკანდალი მოჰყვა, რაც საბოლოოდ მარსელელთა პრეზიდენტის, ბიზნესმენისა და პოლიტიკოსის ბერნარ ტაპის დაპატიმრებით დასრულდა. ბოლო სამი წლის განმავლობაში გლასმანი კუნძულ რუნიონის გუნდში „სენ როზში“ თამაშობდა და აი, ახლა იგი „სტრასბურის“ ერთ-ერთი მწვრთნელი გახდა. მთავარი მწვრთნელის კლოდ ლეჩუას განცხადებით „სტრასბურს“ გლასმანის ცოდნა და გამოცდილება ძალიან გამოადგება.

უკრაინის ჩემპიონატის მე-5 ტური: დინამო — დნეპრი 2:3, ტავრია — მეტალურგი (ზაპოროჟიე) 2:3, მეტალურგი (დონეცკი) — პრიკარპატიე 1:0, კრივბასი — ცსკა 0:0, მეტალურგი (მარიუპოლი) — ზირკა 0:0, სკა — ვორსკლა 1:0, კარპატი — შახტიორი 1:0, მეტალისტი — ნივა 2:1. ჩემპიონატს 9-9 ქულით დნეპროპეტროვსკის დნეპრი და კრივბასი ლიდერობენ. მესამე-მეოთხე ადგილებს კი 8 ქულით ცსკა და ზაპოროჟიეს მეტალურგი იყოფენ.

ფოტლანდიური „გლაზგო რეინჯერსის“ ახალმა მწვრთნელმა, ჰოლანდიელმა დიკ ადვოკაატმა განაცხადა, რომ უეფას თასზე სალონიკის პაოკთან შეხვედრა არის სწორედ ის, რაც ყველაზე ნაკლებად სურდა. „მართალია, ჩინებული გუნდი გვყავს, მაგრამ პაოკი მაინც ძალიან არასასურველი მოწინააღმდეგეა. სალონიკელები ყოველ სეზონში იბრძვიან ბერძნული ოქროსთვის, გასულ წელს კი „არსენალს“ მოუგეს. ჩვენ უთუოდ ვნახავთ იმ მატჩების ვიდეოჩანაწერს. ვიცით, რომ პაოკს თავგადაყლული ქომაგები ჰყავს, რომელთა საქციელის გამო 90-იანი წლების დასაწყისში გუნდი დისკვალიფიცირებულიც კი იყო ორი წლით.“

დანიურმა კლუბმა „ბრონდბიუმ“ განაცხადა, რომ კონტრაქტი გაუფორმა ბრაზილიელ მცველს კრიგელ და სილვას, რომელიც „კამპო გრანდე ატლეტიკო კლუბიდან“ 450 ათას დოლარად გადაიბირა. და სილვა 24 წლისაა და დანიაში სამი წლით გადაბარგდა. „ბრონდბიუ“ ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელია.

ბელგიის შინაგან საქმეთა მინისტრმა ლუის ტობაგმა ჩხუბისა და აყალმაყალის წინააღმდეგ ბრძოლის გზად თამაშების დღეებში სტადიონის ბილეთების არ გაყიდვა მიიჩნია. ამან ქვეყნის პირველი დივიზიონის 18 გუნდიდან 16-ის აღშფოთება გამოიწვია, რამეთუ მათი დაკვირვებით უშუალოდ თამაშების დღეებში ბილეთს დაახლოებით 10 ათასი გულშემატკივარი ყიდულობს. მინისტრის გადაწყვეტილების წინააღმდეგ არ გაილაშქრეს მხოლოდ „ეკერენმა“ და „მუსკრონმა“, რომელთა სტადიონებიც 10 ათასზე ნაკლებს იტევს.

ჩრდილოირლანდიელი გარემარბი კით გილესპი „ნიუკასლ იუნაიტედიდან“ 5,76 მილიონ დოლარად „მიდლსბროში“ გადავიდა. „მიდლსბროს“ მწვრთნელმა ბრაიან რობსონმა გილესპის შეძენა მას მერე გადაწყვიტა, რაც მილანის „ინტრიდან“ ვერ გადაიბირა ფრანჩესკო მორიერო. გილესპის გზა დიდ ფეხბურთში ასეთი გახლდათ: 1995 წელს იგი „ნიუკასლში“ „მანჩესტერ იუ-

ფეხბურთის რუკასთან

ნაიტედიდან“ გადავიდა. ახლა კი „მიდლსბროში“ ამოჰყო თავი. აღსანიშნავია, რომ გარემარბს „ნიუკასლთან“ კონტრაქტი გაელია და კლუბმა მასთან ახლის გაფორმება აღარ ისურვა.

ინგლისურმა „ჩელსიმ“ ხელში ჩაიგდო ფინელი ფეხბურთელი მიკაელ ფორსელი. ფორსელი ჯერაც 17 წლის არის. იგი „ჰელსინკში“ თამაშობდა, მაგრამ კონტრაქტის ვადა ამოიწურა და ეგრეთწოდებულ თავისუფალ აგენტად იქცა. ასე რომ, ლონდონელებმა ეს ამომავალი ვარსკვლავი უფასოდ შეიძინეს. ყმაწვილკაცი თასების თასის მფლობელს ნოემბრიდან შეუერთდება და მასთან ხუთ წელიწადს გაატარებს. აღსანიშნავია, რომ გერმანიაში დაბადებული ფორსელის შეძენა სურდათ „აიაქსს“, მილანის „ინტერს“, „ლივერპულს“, „ლევერკუზენს“, „ბაიერნს“, „სამპდორიას“ და „გლაზგო რეინჯერსს“, მაგრამ თავად მოთამაშეს გულმა ინგლისისკენ გაუწია. ინგლისურ ფეხბურთს ტელევიზიით ვადევნებ თვალს და ძალიან მომწონს, ხოლო მშობლებთან ერთად ლონდონში რომ ჩავედი, „ჩელსის“ წარმომადგენლებმა საუკეთესო პირობები შემომთავაზეს. ჩინებული მო მავალი მელის ჯანფრანკო ძოლას, ბრაიან ლაუდრუპის და ტორე ანდრე ფლოს გვერდით. მათთან უთუოდ ბევრს ვისწავლი“ — განაცხადა ჭაბუკმა.

არგენტინელი ფეხბურთელი მარტინ კარდეტი ერთი წლით ესპანურ „სალამანკაში“ გადავა. „სალამანკას“ იგი „რივერ პლეიტმა“ ათხოვა. კარდეტი 24 წლისაა. ესპანელებს დიდი ხანია მისი შეძენა სურთ და როგორც იქნა დაიყოლიეს „რივერ პლეიტის“ მწვრთნელი, წარსულში ცნობილი ფეხბურთელი რამონ დიასი, 550 ათასი დოლარის საფასურად ერთი წლით თხოვებაზე. ამბობენ, თუ კარდეტი „სალამანკას“ შეეგუა, მერე 5 მილიონად, საბოლოოდ ევროპაში გადაბარგდებაო.

შვეიცარიელი მწვრთნელი კრისტიან გროსი ინგლისური ტოტალიზატორის „უილიამ ჰილის“ ნიძლავების სიაში პირველ ნომრადაა ჩაწერილი. „უილიამ ჰილის“ ბუქმეიკერთა ვარაუდით მას პრემიერლიგის მწვრთნელთა შორის პირველს გაათავისუფლებენ თანამდებობიდან. მასთან ერთად განიხილავენ პირველი დივიზიონიდან ახალაღზევებული „ჩარლტონ ატლეტიკის“ თავკაცს ალან კარბოშლის და „ლივერპულის“ როი ევანსს, რომელიც ახალი სეზონიდან საფრანგეთის ნაკრების ოდენდელ მწვრთნელთან, ჟერარ ულიესთან ერთად უხელმძღვანელებს ცნობილ კლუბს.

ესპანური „ბარსელონა“ ინგლისურ ტურნეს ატარებს. პირველი თამაში კატალონიელებს პირველი დივიზიონის „ვულვერჰემპტონთან“ ჰქონდათ და გაიმარჯვეს 3:2. სამიდან ორი გოლი ბარსელონელთა ბრაზილიელმა ფორვარდმა სონი ანდერსონმა გაიტანა. ესპანეთის ჩემპიონს და თასის მფლობელს ჰოლანდიელი და მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ესპანელი მოთამაშეები მოედანზე არ გაუყვანია.

ინგლისური „ასტონ ვილას“ თავდამსხმელი სტენ კოლიმორი ბარძაყის ტრავმის გამო ალბათ პრემიერლიგის სეზონის სტარტს გამოტოვებს. იგი „პიტერბოროსთან“ ამხანაგურ შეხვედრაში დაშავდა.

უნგრეთის ჩემპიონატი. მე-2 ტური. დიოშდიორი — დებრეცენი 0:0, კერულეტი — ფერენცვაროში 1:2, ბვსც — უპეშტი 0:3, ბანიაში — დიორ ეტო 1:2, გაზერი — ზალაეგერცეგი 2:0, მტკ — ვაცი 3:1, ჰალადაში — ვიდეოტონი 2:0, ვაშაში — დუნაფერი 3:2.

სლოვაკეთის ჩემპიონატი. პირველი ტური. კოშიცე — სპარტაკი (ტრნავა) 0:1, ტატრანი — დუკლა ბანსკა ბისტრიცა 2:1, სლოვანი (ბრატისლავა) — ბარდეიოვო 3:0, ტრენჩინი — ბანიკი (პრეიეოვა) 3:0, ნიტრა — რუზომბეროკი 3:0, ტაურისი — კერამეტალი 2:2, ზილინა — ჰუმენე 1:0, არტმედია — ინტერი (ბრატისლავა) 0:0.

დანიის ჩემპიონატი. მე-2 ტური. აბ — ოლბორგი 1:1, ორჰუსი — ლუნგბიუ 1:0, ალბორგი — ბბ 1:2, ჰერფოლგე — ბ 93 3:1, ფილკებორგი — ვეილე 1:1.

სლოვენიის ჩემპიონატი. პირველი ტური ველენიე — ბელტინჩი 2:0, გორიცა — დომზალე 3:0, ოლიმპია — აიდოვშინა 1:0, მურა — კოროტანი 4:0, კოპერი — ცელიე 1:1, მარიბორი — ტრიგლავი 3:2.

რუმინეთის ჩემპიონატი. პირველი ტური არჯეში — რაპიდი (ბუქარესტი) 0:1, უნივერსიტატია (კრაიოვა) — სტიაუა 2:2, ოლიმპია — პეტროლული 3:0, ნაციონალი — ჩაპლაული 4:2, დინამო (ბუქარესტი) — გლორია 3:0, უნივერსიტატია (კლუჟი) — რესიტა 0:0, ასტრა — ბაკაუ 1:1, ფორესტა — ოცელული 1:2, ონესტი — ფარული 2:2.

ჩეხეთის ჩემპიონატი. პირველი ტური ტეპლიცე — ბლსანი 1:3, პეტრა — ვიკტორია (ჟიჟკოვი) 4:2, ოპავა — ბობი 2:1, ჰრადეც კრალოვე — სიგმა 1:3, კარვინა — იაბლონეცი 1:0, სლოვანი (ლიბერეცი) — ბანიკი (ოსტრავა) 2:2, სლავია — დუკლა 2:0.

პოლონეთის ჩემპიონატი. მე-2 ტური. პოლონია — ვისლა 1:3, პოგონი — ლკს 1:1, ვიძევი — გურნიკი 0:1, ოდრა — რუხი 2:2, ზაგლებიე — გკს (ბელხატოვი) 1:2, ლეხი — გკს (კატოვიცე) 3:1, რუხი (რაძიონკოვი) — ამიცა 1:1, სტომილი — ლეგია 1:2.

აფრიკის თასის შესარჩევი მატჩები. ლიბია — ალჟირი 1:3, ჯიბუტი — კენია 0:3, ნამიბია — მალავი 2:1, უგანდა — რუანდა 5:0, ბოტსვანა — მოზამბიკი 0:0, სვაზილენდი — მადაგასკარი 1:2, ლესოტო — მავრიკეთი 1:1, მალი — ვერდის კუნძულები 3:0, სანტომე — ტოგო 0:4, ნიგერი — ლიბერია 2:1, ბენინი — ანგოლა 2:1, ჩადი — კონგო 1:1, ეკვატორიული გვინეა — გაბონი 0:2, ბურუნდი — ტანზანია 1:0.

ესპანური „რეალ ბეტისის“ მწვრთნელად დაინიშნა ანტონიო ოლივეირა, სწორედ ის, ევრო 96-ზე პორტუგალიის ნაკრებს რომ წვრთნიდა, ხოლო გასულ სეზონში „პორტუ“ ქვეყნის ჩემპიონი და თასის მფლობელი გახადა. ოლივეირამ ესპანურ კლუბთან ორწლიანი კონტრაქტი გააფორმა. აღსანიშნავია, რომ „ბეტისში ყველაფერი ძალიან მოულოდნელად მოხდა. გასულ კვირას უეცრად გადადგა მწვრთნელი ლუის არაგონესი და პრეზიდენტი მანუელ რეის დე ლოპერა იძულებული შეიქნა ახალი ხელმძღვანელი მოეძებნა. „ოლივეირა იმიტომ ავირჩიეთ, რომ სახელოვანი მწვრთნელი გვჭირდებოდა. მას საუკეთესო შედეგებიც აქვს და ვარსკვლავებთან მუშაობაც იცის“ — განაცხადა პრეზიდენტმა, რომელიც უპირველეს ყოვლისა, ალბათ 35 მილიონ დოლარად შეძენილ დენილსონს გულისხმობდა.

ესტონეთის ჩემპიონატი. მე-3 ტური. ტალინი — ტულევიკი 2:2, ნარვა — ლანტანა 1:3, სადამი — ელელი 7:0, ფლორა — იოგი 6:0. ჩემპიონატს სამი თამაშიდან 9 ქულით ლანტანა ლიდერობს. მას 3 ქულით ჩამორჩება ფლორა, თუმცა ამ უკანასკნელს მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული. მესამე ადგილზე კი ერთბაშად 4 გუნდია.

ინგლისის პრემიერლიგაში ახალაღზევებული ლონდონური კლუბი „ჩარლტონ ატლეტიკი“ აცხადებს, რომ ერთ ახალ უცხოელ ფეხბურთელსაც არ აიყვანს. გუნდის მწვრთნელმა რიჩარდ მიურეიმ გაზეთ „ობზერვერს“ უთხრა, იქნებ ვცდები კიდეც, მაგრამ მიჯობს ბრიტანელებთან ვიმუშავო, ვიდრე ზღვისგაღმელი ვარსკვლავები ვიყიდოო. დღეისათვის „ჩარლტონ ატლეტიკს“ სამი საზღვარგარეთელი ჰყავს განაცხადში: საშა ილიჩი და ენდი პეტერსონი — ავსტრალიელები და ნიგერიელი ემეკა იფეჯიავა.

არბენტინის წამყვან კლუბებს, როგორც გაირკვა 226 მილიონი დოლარის დავალიანება აქვთ. თუმცა უმაღლესი დივიზიონის 20 გუნდიდან მხოლოდ ორი, „ხიმნასია ესგრიმა“ და „ლანუსი“ არიან უვალოდ. ცნობილ „რასინგს“ 62 მილიონის დარდი ადევს, „რივერ პლეიტს“ კი 35 მილიონისა.

დიდი გადარბენა კალმით, უკალმოდ და დარდით

— სამზე კი არა, ოთხ დიდ შეჯიბრებაზე ვიყავი — გვეუბნება ემზარ ზენაიშვილი.

— ჰმ, საყვირველი სულაც არ არის, რომ სათვალავი აგრევიათ. ბოლოსდაბოლოს, თბილისში ჩამოუსვლელად მოგზაურობდით, თანაც გუშინ დაბრუნდით ამერიკიდან. დროში 8 საათია გასწორებული. ასეთ დროს კაცს დღე და ღამე არეული აქვს და სათვალავი რომ აგერიოთ, რა გასაკვირია?

— ამ საღამოს რომ ვსაუბრობთ, ჩემთვის განთადი იწყება. ასე რომ, დღე და ღამე ნამდვილად ამერია, მაგრამ შეჯიბრებათა სათვალავი სულაც არ მერევა. ოთხ შეჯიბრებაზე ვიყავი. მეოთხე ვაშინგტონში ჩოგბურთელთა ტრადიციული დიდი საერთაშორისო ტურნირი KEGG MASON CLASSIC იყო.

— ო, ეს უკვე გინესის რეკორდების წიგნის ღირსი მიღწევაა, მაგრამ თქვენ მოგზაურობის შესახებ იქნებ ქრონოლოგიურად ვისაუბროთ. პარიზით დავიწყოთ.

— საყვედურით უნდა დავიწყო. დიდად მადლობელი ვარ, რომ მსოფლიოს ჩემპიონატიდან გამოგზავნილ სტატიებს ასე კოხტად და ლამაზად აწყდიდით მკითხველს, მაგრამ ასე ჩახლსტუსებულ-ჩაკოსტუმებული ჩემი სურათის მიცემა რა საჭირო იყო. ჟურნალისტი მაინც თავისუფალი პროფესიის კაცია და სურათიც შესაფერისი უნდა იყოს, ისე კი უფრო გამიხარდებოდა, თუ საერთოდ ჩემი სურათის გარეშე გამოქვეყნდებოდა მასალები.

— კი, თქვენ გვსაყვედურობთ, მაგრამ ტრადიცია ტრადიციაა, ჩვენ კი კომპლიმენტები უნდა გითხრათ. თქვენი პარიზული წერილები რედაქციაში ყველას მოგვწონდა. მკითხველთა აზრიც ვიცით. ქალბატონთა ერთ საზოგადოებაში ისიც ითქვა, ზენაიშვილის წერილებს ისიც კი სიამოვნებით კითხულობს, ვისაც პარიზის მსოფლიოს ჩემპიონატი და საერთოდ ფეხბურთი არ აინტერესებსო. ასე რომ, ნამდვილ ჟურნალისტიკაში მოკრძალებით კი არ შემოადეთ კარი, არამედ დებიუტი შემოვარდნით აღნიშნეთ.

— კარგი, გეყოფათ, გეყოფათ. გადაჭარბებულია, მტრისმეტად გადაჭარბებულია ყველაფერი. მართალიც რომ იყოს, ამაოდ მეუბნებით კომპლიმენტებს, ველარ შემაბამთ ეფვს.

— რა თქმა უნდა. ჰონორარი გეცოტავთ, მაგრამ დღევანდელ საქართველოში ჰონორარით რომელი ჟურნალისტი ამენებულა. ზოგ პუბლიკაციაში კაცი იმდენსაც ვერ იღებს, რომ იმ ჰონორარით იყიდოს ის ნომერი, რომელშიც წერილი გამოაქვეყნა.

— მაგრამ მე ჰონორარისთვის არ მიწერია ის სტატიები თუ ნარკვევები. გამოგიტყდებით, ჟურნალისტიკაზე ბავშვობიდან ვოცნებობდი, მაგრამ დიპლომით ირანული ენის სპეციალისტი ვარ, საქმიანობით — სპორტის ფუნქციონერი, მოხელე თუ ჩინოვნიკი, როგორც გნებით, ჟურნალისტიკაში კი ჩემს ჭიას ვასარებდი. წლების განმავლობაში ვაქვეყნებდი სტატიებს „ახალგაზრდა კომუნისტში", „ლელოში", ახლა „სარბიელში" „ლიბერალში". ამ უკანასკნელის სარედაქციო საბჭოს თავმჯდომარეც ვარ, სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის წევრიც. მაგრამ ერთი ყოფილა მაშინ წერა, როცა მოგესურვება და სულ სხვა, როცა ვალდებული ხარ, ყოველდღიურად იარო შეჯიბრებებზე, აგროვო ინფორმაცია, სულმოუთქმელად წერო და წერო გაუთავებლად და მერე ფაქსების გამოგზავნაზე იწყიტო ნერვები. კი ბატონო, ვიცოდი, რომ ჟურნალისტობა ბიბლიოთეკარიკით მშიდი, წყარო სამუშაო არ იყო, ვიცოდი, რომ ჟურნალისტიკა სხვა პროფესიათა შორის სამუშაოა მუშაობის სიმძიმის, სტრესული მდგომარეობის მხრივ, რომ ამ მხრივ იგი ერთ სიბრტყეზეა თვითმფრინავის გამოცდელის, მაღაროელის და პოლიციელის პროფესიასთან ერთად, მაგრამ ამაში ეჭვი მეპარებოდა. თურმე სიმართლე ყოფილა. ახლა მთელი სიგრძე-სიგანით გავაცნობიერე, რომ ჟურნალისტიკა ეს არის ადამიანის ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ნერვიული ცვლა. ამაზე დროს კეთილშობილური საქმე, მაგრამ ზმირად დაუნაყი და დაუფასებელი. საფრანგეთში ხუთ დღეში ხუთ ქალაქში 700-800 კილომეტრზე გავვარდი და გამოვარდი, ყველდღე ვწერდი და ფაქსებს ვგზავნიდი. ისე კი, ყველაზე მეტად ტელე და ფოტორეპორტიორები მეცოდებოდნენ. კისერზე ერთბაშად ორი ფოტოაპარატი ეკიდა, ბმიე ამარტებით გაძეგილი ზურგჩანთები წამოეკიდა, მხარზე ტანსაფინალმდგომ „მუსასეთ" ბალთი უშველებელი ობიექტივები, ვიდეოკა გამოეტენა და სხეულის ყველა წერტილზე მიკრულ-მიწებებულ-მიბმული ჰქონდათ ნირგვარი ობიექტივები, ფილტრები, ფირები, ბლიცები, შტატივები, სამფეხა სკამები... და ამ ყველაფერით ნამვისხესავით მორთულნი და ჰრონჩხლილები თავქუდმოგლეჯილები დარბოდნენ უკეთესი გადასაღები წერტილის ხელში ჩასაგდებად. თუმცა, სირბილით ყველანი დავრბოდით. ეს სათქმელადაა იოლი, თორემ უზარმაზარი შრომა და ნერვიულობა იყო, თანაც მოგზაურობაში კაცი ათას გიჟსა და ოხერს გადაეყრები. ფეხბურთელთა მსოფლიო ჩემპიონატებს კი ისინი ჩვეულებრივ არ აკლია.

— აბა, რა...

— გინდათ, მითხრათ, აბა რა გეგონა, არა?

— არა, არა, გვინდოდა გეკითხა, აბა, რა მოხდა პარიზისკენ მომავალ მატარებელში, იმ ნაგიჟარ ინგლისელ მუტრუკს რომ გადაეყარეთ.

— უჰ, ნუღარ გამახსენებთ. მივდივარ შვიცარიაზე და მის გაზრდაზე ვზრუნავდეთ. ამიტომაც იყო, რომ მიუხედავად გაჭირვებისა, ჩვენ ემონაწილეობდით ვალკენსვაარდის, ბათის, ლისაბონის ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ დღეებში, რომლებიც ერთადერთი საშუალება იყო მოსწავლეთა სპორტის შემოწმებისა, ბავშვთა სპორტის რაღაც დონეზე გადარჩენისა. თუ შენარჩუნების. ამიტომაც ვიასპარეზეთ მოსკოვშიც. იქ მედლების რაოდენობით VI ადგილი დავიკავეთ. ამით უზარმაზარი საქმე გაკეთდა. მაგრამ იმ მედლებმა ეიფორიაში არ უნდა ჩაგვაგდოს. საქმისადმი არასწორი მიდგომა იქნება, გულარხეინად ვიმსახოთ, 131 ქვეყანას შორის მეექვსენი ვართო. უნდა ვთქვათ, რომ ეს იყო შთამბეჭდავი წარმატება, ჩვენი მოზარდების ნიჭის დემონსტრირება, მაგრამ მეშინია, ამ

რას იზამ, ასეა: სადაც წახვალ, ქუდიც იქაური გერგება... ემზარ ზენაიშვილი ჰოლანდიელი ფანების გარემოცვაში

ჯერ პარიზი და საფრანგეთის სხვა ქალაქები იყო. მერე მოსკოვი, ნიუ იორკი... ყველგან უმაღლესი დონის შეჯიბრებები: მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთში, მსოფლიოს ახალგაზრდული თამაშები, კეთილი ნების თამაშები. და ეს ყველაფერი სულ რაღაც ერთ თვეში იხილა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა ემზარ ზენაიშვილმა, რომელმაც, როგორც „სარბიელის" საგანგებო კორესპონდენტმა, მსოფლიოს ჩემპიონატი გააშუქა, სხვა შეჯიბრებებზე კი ოფიციალური პირის ამბლუაში აღმოჩნდა. მას ოკეანისგაღმიდან ჩამოსვლა არ ვაცალეთ და ყოველივე ამასთან დაკავშირებით ვესაუბრეთ როგორც კოლეგას და როგორც სეოკ-ის გენმდივანს

ლისტოლა, მართლაც მუტრუკთან და ვეუბნები: დაღლილი ვარ, ფეხზე დგომა აღარ შემიძლია, აქ ჩემი ადგილია-მეთქი, თან ბილეთს ვუფრიალებ ცხვირწინ. ვფიქრობ, მანამ პარიზში ჩავალ, მუხლისთავებზე „სარბიელისთვის" წერილს დავწერ-მეთქი. ის კი მეუბნება, მიდი, რა, გაიარე, ფეხსაც არ მოვიკვლი აქედანო. თუმცა, ამაზე ხომ მკითხველს ვუამბე. ისე კი, მსოფლიოს ჩემპიონატზე რაღა უნდა მოგითხროთ. უამრავი რამ დაიწერა, ტელეეკრანებიდან უამრავი რამ გადაიცა, ჩემი შთაბეჭდილებებით იქნებ გაკვებზრე კიდეც მკითხველი...

— არც არაფერი უნდა გვიამბოთ, რაც გვაინტერესებდა, უკვე გვითხარით და ეგაა. მაგრამ საინტერესოა, რას ურჩევდით დამწყებ ჟურნალისტებს, ამ პროფესიაზე ხელის აღებას ხომ არა?

— თუ კაცს ამ პროფესიის სიყვარული გულში აქვს ამოჭრილი, მას სიძნელეებით ვერ შეაშინებ, ხოლო თუ იგი ამ საქმით არ არის „მოწამლული", მაშინ უმჯობესია, სხვა სფეროში სცადოს ძალა, ჟურნალისტიკაში დარჩენილ ახალგაზრდას კი ვურჩევ უფუოდ ითვისოს უცხო ენა, უფრო სწორად ენები და კომპიუტერული ტექნიკა, ფოტოგადაღება...

— პარიზიდან მოსკოვს ეწვეთეთ, მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებს, სადაც საქართველოს დელეგაციას შეუერთდით, როგორც სპორტის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ამდენად, საინტერესოა, სეოკ-ის გენერალური მდივნის გადასახედიდან როგორ შეაფასებდით ამ ასპარეზობას, ჩვენი სპორტსმენების გამოსვლას.

— მსოფლიოს ახალგაზრდულმა თამაშებმა მის ორგანიზატორთა მოლოდინს გადააჭარბა. შეიძლება ითქვას, რომ ამგვარი თამაშების ბედი გადწყვეტილია. იგი ამა თუ იმ ფორმით, სახელწოდებით უთუოდ გაგრძელდება. მასში მონაწილეობდნენ ის სპორტსმენები, რომლებმაც 2004, 2008 წლების ოლიმპიურ თამაშებზე უნდა იასპარეზონ. ასე რომ, ეს შეჯიბრება ჩვენი და არა მხოლოდ ჩვენი სპორტის ფესვების, მისი ყლორტების შემოწმება იყო. სამწუხაროდ, ბოლო 10 წლის განმავლობაში საქართველოში სპორტი თავკომბალას დამსგავსა. გვქონდა დიდი სპორტი, რომელსაც საფუძველს აღარ უმაგრებდა ბავშვთა სპორტი. მაგრამ აი, ჩვენმა ახალგაზრდა ათლეტებმა მოსკოვში 17 მედალი მოიპოვეს, რაც გვიმედებს, რომ საქართველოში ყველაფერი ჯერ არ დაღუპულა, მაგრამ ეს მომავალ წარმატებათა გარანტი სულაც არ არის. როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, დიდ სპორტში ბავშვთაგან 10-15 პროცენტი რჩება. ამიტომ ბავშვთა სპორტზე ზრუნვა მუდმივი პროცესი უნდა იყოს. უნდა ვატარებდეთ ბავშვთა კომპლექსურ შეჯიბრებებს. დაარქვით ამას, ენებავთ სპარტაკიადები, ენებავთ თამაშები, ენებავთ ოლიმპიური დღეები. მთავარია, რომ ვატარებდეთ და ვამოწმებდეთ ხვალინდელ

**ოლიმპიურ ჩემპიონებს. ამ ოლიმპიურ ჩემპიონებს ეს ოლიმპიადა ბოლოა. ეს ბოლო ოლიმპიადა ბევრ ჩვენ ოლიმპიურ ჩემპიონებს, ალბათ, ბევრ ოლიმპიურ ჩემპიონს, ეს ბოლო ოლიმპიადა

ფორმულა 1
XI ეტაპი
გერმანიის
დიდი პრიზი

მიკა ჰაკინენი

დაიბადა 1968 წლის 28 სექტემბერს ჰელსინკში. ცხოვრობს მონაკოში. სიმაღლე 179 სმ, წონა 72 კგ

დებიუტი ფორმულა 1-ში: 1991. აშშ-ის დიდი პრიზი

107 რბოლა. 7 გამარჯვება. 7 პოული, 6 საუკეთესო წრე, 194 ქულა.

ისუნთქეთ მაკლარენის გამონაბოლქვი!

მიხაელ შუმახერის ზედიზედ სამი გამარჯვებითა და „ფერარის“ უდიდესი ძალისხმევით „მაკლარენების“ ტრანსის გადარჩენილი ფორმულა 1-ის მსოფლიოს ჩემპიონატი სწრაფად ეთხოვება დროებით შეწყვეტილ ინტრიგას — ეს ორი რბოლაა, რონ დენისის პილოტები სეზონის დასაწყისის მსგავსად, ისევ მაქსიმალურად იყენებენ თავიანთი მანქანების უპირატესობას სიმძლავრესა და სისწრაფეში.

გერმანიის დიდი პრიზის დღეებში თავად რბოლაზე არანაკლებ ინტერესს პილოტების საგაისოდ დასაქმების ცნობები იწვევდა. „მაკლარენ-მერსედესმა“ აღიარა, რომ მთავარი მეტოქის რიგებიდან მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის — მიხაელ შუმახერის გადმობირება სურდა, მაგრამ არაერთი ცდისა და ერთი-ერთზე გასაუბრების მიუხედავად გერმანელი ვერ დათანხმა. შუმი იმავე დღეებში „ფერარისთან“ 2003 წლამდე გაგრძელა კონტრაქტი, რომლის თანახმადაც დაუდასტურებელი ცნობით, სეზონში 42 მილიონი დოლარი უნდა მიიღოს.

შუმახერის უარმა „მაკლარენში“ საგაისო ადგილი დევიდ კულჰარდს შეუნარჩუნა, რაკიღა გუნდი ჩემპიონატის ლიდერ მიკა ჰაკინენთან დაშორებას არავითარ შემთხვევაში არ აპირებდა. ოფიციალური განცხადება ორივე პილოტის დატოვების შესახებ „მერსედესის“ სარბოლო პროგრამის თავკაცმა იურგენ ჰუბერტმა შაბათს გააკეთა: „ჩვენ კმაყოფილი ვართ იმით, რასაც მათ წინა და ამ სეზონებში მიაღწიეს. ორივეს შეუძლია მსოფლიოს ჩემპიონი გახდეს და ეს გუნდისთვის ძალიან მნიშვნელოვანია.“

კიდევ ერთი წლით გაგრძელა „ფერარისთან“ კონტრაქტი ირლანდიელმა ედი ირვინმა, რომელმაც „უილიამსში“ გადასვლის წინადადება უარყო — სუსტ გუნდში პირველობას შუმახერთან ერთად ასპარეზობა მირჩევნიაო. ედის „სკუდერია“ სეზონში 3 მილიონ დოლარს გადაუხდის. ირლანდიელის უარის მიუხედავად, „უილიამსი“ მომავალ სეზონს, ალბათ, მაინც სრულიად განახლებული შემადგენლობით შეხვდება, თუმცა ვერვიერითი ყველაფერი ჭორის დონეზეა. როგორც ამბობენ, ფრენკ უილიამსს ჟაკ ვილნევის ნაცვლად „კარტიდან“ ალექს ძანარდის გადმობირება სურს, ჰინც-ჰარალდ ფრენცენის ნაცვლად კი ვალი ჰერბერტის, აირნო ტრულის ან რალფ შუმახერის მიწვევა უნდა.

„ფერარისთვის“ უქმეები მეტად წარუმატებლად დაიწყო — პარასკევის ვარჯიშზე შუმახერმა ახალი, უფრო გრძელი ბოლიდით, რომელზეც „სკუდერია“ დიდ იმედებს ამყარებდა, მხოლოდ მეხუთე დრო აჩვენა და ირვინს სულ სამი მეასედი წამით აჯობა. ამის გამო ჟან ტოდტმა გადაწყვიტა, თავისი ორივე პილოტი კვალიფიკაციისთვის ძველ ბოლიდებზე დაესვა, თუმცა, როგორც გაირკვა, „წითლების“ პრობლემების გადასაჭრელად მხოლოდ ეს არ კმარიოდა.

კვალიფიკაციაზე საუკეთესო დრო თავიდან ჰაკინენისა იყო, თუმცა ყველასათვის მოულოდნელად 20 წუთის შემდეგ პირველ ადგილზე უილიამსელი მსოფლიოს ჩემპიონი ჟაკ ვილნევი აღმოჩნდა, რომელმაც ჰოკენჰაიმში სამი დღის განმავლობაში შესანიშნავად ასპარეზს და სეზონში პირველად წლევანდელ ლიდერებთან გაპაექრებაც მოახერხა. თუმცა მალე ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. ვერ კულჰარდმა, მერე ჰაკინენმა კანადელის დრო გაუთანაბრეს, ფინელი კი, უბრალოდ, შეუჩერებელი იყო: მისი ყოველი წრე წინაზე სწრაფი გახლდათ.

შუმის ამ დროს მშობლიური ტრასისა და ათასობით გულშემატკივრის ქომაგობის მიუხედავად არაფერი გამოსდიოდა — ვერ „ვერდანებმა“, მერე კი ორივე „ბენეტონმა“ გერმანელი მეცხრე ადგილზე დაჭყეთეს. ერთადერთხელ კი, როდესაც მსოფლიოს ორგზის ჩემპიონს პოზიციის გაუთანაბრების შესაძლებლობა ჰქონდა, პედრო დინიცმა შეუშალა ხელი. ასე რომ, მას სეზონში ყველაზე უარესი სასტარტო ადგილით დაკმაყოფილება მოუხდა და რაღა გასაკვირია, რომ კვალიფიკაციის შემდეგ საშინელ ხასიათზე იყო: „ამაზე ცუდ დროს მეცხრე პოზიციიდან დასაწყებად ვერც გამონახავდა კაცი. დილით ვარჯიშმაც ძალიან ცუდად ჩაიარა, ედიც საკმაოდ ჩამორჩა „მაკლარენებს“. უნდა გავარკვიოთ, რაშია საქმე და ვიმუშაოთ, ვიმუშაოთ და ვიმუშაოთ.“

თავად რბოლა ძალიან უინტერესოდ წარიმართა. მიუხედავად ავდრიანობის პროგნოზისა, წვეთიც არ ჩამოვარდნილა, რამაც მოულოდნელობები და ბოლიდების ტრასის მიღმა გასეირნების შესაძლებლობა ჰოკენჰაიმის სწორ და ძალიან სწრაფ ტრასაზე თითქმის გამორიცხა. „მაკლარენებმა“ შესანიშნავი სტარტი აიღეს და პირველ მოსახვევში პირველნიც შევიდნენ, აი, ჟაკ ვილნევმა კი ორივე „ვერდანი“ გაუშვა წინ, თუმცა ერთი წრის შემდეგ დეიმონ ჰილის გადასწრება მაინც მოახერხა.

სტარტზე თავი გამოიჩინა შუმახერმაც — სწორედ მის წინ გაოჩნებულ ვურცის ბოლიდს სწრაფი მანევრით მარჯვნიდან აუარა გვერდი, თავის მუდმივ მსვლელს — ჰაინც ჰარალდ ფრენცენს კინაღამ ცხვირი წაეცალა, თან ფიზიკელასაც გასწრო და მეშვიდე ადგილზე მოკალათდა, მალე კი ირვინიც უკან ჩამოიტოვა. თუმცა ეს იყო და ეს — დასამახსოვრებელი გერმენელს მეტი არაფერი გაუკეთებია.

რბოლის პირველი მესამედის ყველაზე დიდი მოულოდნელობა უმცროსი შუმახერის — რალფის შესანიშნავი ასპარეზობა იყო, რომელიც ორ „მაკლარენს“ აედევნა და მთელი ამ ხნის მანძილზე ოდნავაც არ ჩამორჩენია. რალფი თითქოს სეზონის პირველი პოდიუმისთვისაც განწირული ჩანდა, მაგრამ ახალგაზრდა გერმანელი გუნდის აშკარად არასწორმა ტაქტიკამ დალუპა — „ვერდანს“, ჰილისგან განსხვავებით, მისი ორი პიტ-სტოპით რბოლა გადაეწყვიტა. რალფმა პირველად ბოქსებში მე-14 წრეზე შეუხვია, როდესაც კულჰარდს წამზე ნაკლებით ჩამორჩებოდა, იქიდან გამოსული კი მეთერთმეტე ადგილზე აღმოჩნდა და საბოლოოდ ჩასათვლელი ქულის მოსაპოვებლადაც დიდი ოფლის ღვრა დასჭირდა.

ტრასაზე ამ დროს საინტრიგო არაფერი ხდებოდა — პირველი ხუთეულის წარმომადგენლები ერთმანეთთან მახლობასაც ვერ ახერხებდნენ, გასწრებაზე რომ არაფერი ვთქვათ. ინტერესს ისიც ანელებდა, რომ ნათელი იყო, კულჰარდი ჰაკინენს არასდროს არ შეუტევდა, რაკიღა ფინელს ჩემპიონობის შანსი გაცილებით მეტი ჰქონდა და ქულებიც შუმის კიდევ უფრო ჩამოსატოვებლად მეტადაც სჭირდებოდა. საბოლოოდ შოტლანდიელს ლიდერობა მხოლოდ ერთი წრით, ფინელის პიტ-სტოპზე შესვლისას ეკარგა, დანარჩენი დრო კი თანგუნდელის გამონაბოლქვის სუნთქვაში გაატარა. ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ ჰაკინენი რბოლის შემდეგ ირწმუნებოდა, ძალიან დაძაბული რბოლა იყო, ბოლოში ბევრი ვინერვიულე, ჩემმა ბოლიდმა სისწრაფე დაკარგა, თან ვილნევი გვეწეოდაო, სინამდვილეში ეს საინტერესო სანახაობაზე კი არა, ფინელის ფსიქოლოგიურ მდგომარეობაზე უფრო მიანიშნებს. კულჰარდის მტკიცება კი, მიკას გასწრება მინდოდა, მაგრამ ერთნაირი მანქანების ყოლის გამო ეს ძალიან რთული მოსახერხებელიაო, სერიოზულად არც არავის აღუქვამს.

დღის ყველაზე დიდი გამარჯვებული ჟაკ ვილნევი იყო, რომელმაც სეზონში პირველად მოახერხა პოდიუმზე ასვლა, ყველაზე იმედგაცრუებული კი, რაღა თქმა უნდა, მიხაელ შუმახერი გახლდათ, რომელმაც მეხუთე ადგილზე გასვლა ტრიბუნებისთვის ხელის დაქნევით აღნიშნა, თუმცა მერე სწრაფადვე გაუჩინარდა და ჟურნალისტებსაც ყოველნაირად არიდებდა თავს. „მიკასთან ჩამორჩენის დაძლევა შეუძლებელი არ არის, მაგრამ რაკიღა მხოლოდ 5 ეტაპი რჩება, ეს ძალიან ძნელი საქმე იქნება. თუმცა ჩვენ დანებებას არ ვაპირებთ და ბოლომდე ვიბრძოლებთ“ — განაცხადა მოგვიანებით შუმიმ.



ლიდერმა ჰაკინენმა და ვიცელიდერმა კულჰარდმა ჰოკენჰაიმზეც არავინ გაახარეს

მაშ ასე, ჩემპიონატის დასრულებამდე 5 ეტაპით ადრე ჰაკინენის უპირატესობა 16 ქულამდე დარჩა. „მაკლარენის“ ბანაკს საუკეთესო მაქანისა და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, დიდი ცელქობისა და ახალგაზრდობის შესანიშნავ ნაზავს ეძლევა, რასაც იგი, რაღა თქმა უნდა, იმსახურებს კიდეც.

ავთანდილ სვანიძე

რბოლის შედეგები

2 აგვისტო. „ჰოკენჰაიმრინგი“

დისტანცია 45 წრე - 307,984 კმ

1. *ჰაკინენი* (მაკლარენ-მერსედესი) 1:20.47,984 (227.997 კმ/სთ) 10 ქულა
2. *კულჰარდი* (მაკლარენ-მერსედესი) ჩამორჩა 0,427 წამით 6
3. *ვილნევი* (უილიამს-მეკაქრომი) 2,578 4
4. *ჰილი* (ვერდან-მუგენ-ჰონდა) 7,185 3
5. *მ. შუმახერი* (ფერარი) 12,613 2
6. *რ. შუმახერი* (ვერდან-მუგენ-ჰონდა) 29,739 1
7. *ფიზიკელა* (ბენეტონ-მეკაქრომი) 31,027 წუთით
8. *ირვინი* (ფერარი) 32,650 წუთით
9. *ფრენცენი* (უილიამს-მეკაქრომი) 32,785 წუთით
10. *ალეზი* (ზაუბერი) 48,372 წუთით
11. *ვურცი* (ბენეტონ-მეკაქრომი) 57,995 წუთით
12. *ტრული* (პროსტ-პეჟო) 1 წრით
13. *ტაკაჯი* (ტირელ-ფორდი) 1 წრით
14. *სალო* (ეროუსი) 1 წრით
15. *პანი* (პროსტ-პეჟო) 1 წრით
16. *ტუერო* (მინარდი-ფორდი) 2 წრით

საუკეთესო წრე

კულჰარდი (1.46,116; 231,471 კმ/სთ)

ლიდერები

1-26 წრე — *ჰაკინენი*
27 — *კულჰარდი*
28-45 — *ჰაკინენი*

რბოლას გამოეთიშნენ

ჰერბერტი (ზაუბერი) გაიარა 37 წრე
ნაკანო (მინარდი-ფორდი) 36
ბარიჩელო (სტიუარტ-ფორდი) 27
ვერსტაპენი (სტიუარტ-ფორდი) 24
დინიცი (ეროუსი) 2

განლაგება სტარტზე

23 ტუერო 1.47,265 მინარდი
22 ნაკანო 1.46,713 მინარდი
19 ვერსტაპენი 1.45,623 სტიუარტი
16 დინიცი 1.45,588 ეროუსი
17 სალო 1.45,276 ეროუსი
11 პანი 1.45,197 პროსტი
21 ტაკაჯი 1.44,961 ტირელი
12 ტრული 1.44,844 პროსტი
18 ბარიჩელო 1.44,776 სტიუარტი
15 პერბერტი 1.44,599 ზაუბერი
14 ალეზი 1.43,663 ზაუბერი
2 შრენცენი 1.43,467 უილიამსი
3 მ.შუმახერი 1.43,459 ფერარი
5 ფიზიკელა 1.43,369 ბენეტონი
6 ვურცი 1.43,341 ბენეტონი
4 ირვინი 1.43,270 ფერარი
9 პილი 1.43,183 ჯორდანი
10 რ.შუმახერი 1.42,994 ჯორდანი
1 ვილნევი 1.42,365 უილიამსი
7 კულჰარდი 1.42,347 მაკლარენი
8 ჰაკინენი 1.41,838 მაკლარენი

		ავსტრალია 8 მარტი	ბრაზილია 29 მარტი	არგენტინა 12 აპრილი	სან მარინო 26 აპრილი	ესპანეთი 10 მაისი	მონაკო 24 მაისი	კანადა 7 ივნისი	საფრანგეთი 28 ივნისი	დიდი ბრიტანეთი 12 ივლისი	ავსტრია 26 ივლისი	გერმანია 2 აგვისტო	უნგრეთი 16 აგვისტო, 16:00	ბელგია 30 აგვისტო, 16:00	იტალია 13 სექტემბერი, 16:00	ლუქსემბურგი 27 სექტემბერი, 16:00	იაპონია 1 ნოემბერი, 08:00	ჯამი
1	**ჰაკინენი** (ფინეთი) მაკლარენ-მერსედესი	10	10	6	–	10	10	–	4	6	10	10						76
2	**მ. შუმახერი** (გერმანია) ფერარი	–	4	10	6	4	–	10	10	10	4	2						60
3	**კულჰარდი** (ბრიტანეთი) მაკლარენ-მერსედესი	6	6	1	10	6	–	–	1	–	6	6						42
4	**ირვინი** (ბრიტანეთი) ფერარი	3	–	4	4	–	4	4	6	4	3	–						32
5	**ვურცი** (ავსტრია) ბენეტონ-მეკაქრომი	–	3	3	–	3	–	3	2	3	–	–						17
6	**ვილნევი** (კანადა) უილიამს-მეკაქრომი	2	–	–	3	1	2	–	3	–	1	4						16
7	**ფიზიკელა** (იტალია) ბენეტონ-მეკაქრომი	–	1	–	–	–	6	6	–	2	–	–						15
8	**შრენცენი** (გერმანია) უილიამს-მეკაქრომი	4	2	–	2	–	–	–	–	–	–	–						8
9	**ბარიჩელო** (ბრაზილია) სტიურტ-ფორდი	–	–	–	–	2	–	2	–	–	–	–						4
10	**რ. შუმახერი** (გერმანია) ჯორდან-მუგენ-ჰონდა	–	–	–	–	–	–	–	–	1	2	1						4
1	**მაკლარენ-მერსედესი**	16	16	7	10	16	10	–	5	6	16	16						118
2	**ფერარი**	3	4	14	10	4	4	14	16	14	7	2						92
3	**ბენეტონ-მეკაქრომი**	–	4	3	–	3	6	9	2	5	–	–						32
4	**უილიამს-მეკაქრომი**	6	2	–	5	1	2	–	3	–	1	4						24
5	**ჯორდან-მუგენ-ჰონდა**	–	–	–	–	–	–	–	–	1	2	4						7

შენიშვნა: სტარტი ჩვენი დროით

თითო ყველას მოხვდა



დასაწყისი პირველ გვერდზე

2 აგვისტო

E ჯგუფი

იუგოსლავია 95:55 კანადა

იუგოსლავია: ბერიჩი (13), ობრადოვიჩი (11)
კანადა: ნიუტონი (14)

სანამ შეხვედრის განხილვას შევუდგებოდეთ, პირველ ყოვლისა, ჩემპიონატის სტრუქტურაზეც ვთქვათ. მოგეხსენებათ, ჯგუფური ტურნირის შემდეგ პირველობისთვის ბრძოლას ოთხი გუნდი — სენეგალი, კორეა, იაპონია და ნიგერია გამოეთიშა, ხოლო დანარჩენი თორმეტი კვლავაც ინარჩუნებს ოქროს მედლების მოპოვების შანსს.

ეს თორმეტი ნაკრები ორ ექვსეულადაა გაყოფილი, რომელთაც პირობითად E და F ჯგუფები ეწოდებათ და მათში შესაბამისად A და B, აგრეთვე C და D ჯგუფების სამ-სამი საუკეთესოა გაერთიანებული. ჯგუფებიდან შემდეგ წრეში გასულ გუნდებს წინა ეტაპზე გამართული შეხვედრების ანგარიშები შეუნარჩუნდათ, რის გამოც 2 აგვისტოს მდგომარეობა ასეთი იყო:

E ჯგუფი: იუგოსლავია, საბერძნეთი 6 ქულა (3 მოგება, 0 წაგება); რუსეთი, იტალია 5 ქულა (2, 1); კანადა, პუერტო რიკო 4 ქულა (1, 2)

F ჯგუფი: ლიტვა, ესპანეთი 6 (3, 0); აშშ, არგენტინა 5 (2, 1); ავსტრალია, ბრაზილია 4 (1, 2)

ამ ეტაპზე გუნდები, რომლებიც ერთიდაიმავე ჯგუფებში თამაშობდნენ, ერთმანეთს აღარ ხვდებიან და ამიტომ მხოლოდ სამ-სამი მატჩის გამართვა უწევთ ზზობილი ჯგუფიდან გასულ ნაკრებებთან, რის შემდეგაც თითოეულს პირველ და მეორე ეტაპზე ჩატარებული 6 თამაშის შედეგები შეუჯამდება და E და F ჯგუფების ოთხ-ოთხი საუკეთესო მეოთხედფინალურ წყვილებს შეადგენს.

ახლა თავად მატჩს დავუბრუნდეთ, რომელშიც იუგოსლავიელებმა საბრალო კანადელები არ დაინდეს.

მსოფლიოს 1990 წლის ჩემპიონებმა არანაირი შანსი არ დაუტოვეს მეტოქეს და ის ფაქტი, რომ ჩრდილოამერიკელებმა საბერძნეთში NBA-ში შექმნილი ლოკაუტის გამო სამი წამყვანი მოთამაშე თან ვერ იახლეს, კანადელთა გასამართლებლად ვერ გამოდგება.

შეხვედრაში თავი ყველაზე მეტად იუგო ახალგაზრდა მცველმა მიროსლავ ბერიჩმა გამოიჩინა და 13 ქულის მოპოვებით საკუთარ გუნდში საუკეთესო ბომბარდირობა დაიბევა. ბერიჩს მხარი სათადარიგოთა სკამის მოთამაშემ საშა ობრადოვიჩმაც აუბა, რომლის ანგარიშზეც 11 ქულა იყო.

ერთადერთი, ვინც კანადელთაგან ასე თუ ისე წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა, ცენტრალური თავდამსხმელი გრეგ ნიუტონი გახლდათ, მაგრამ მისმა 14 ქულამ ევროპელებს საქმე ვერ გაურთულა.

საბერძნეთი 71:64 პუერტო რიკო

საბერძნეთი: ეკონომუ (19), პაპანიკოლაუ (12)
პუერტო რიკო: კასიანო (19), ვეგა (13)

ათენის 15-ათასიანი დარბაზი პირთამდე სავსე იყო აღტყინებული ბერძენი გულშემატკივრებით, რომლებიც სიყვარული გუნდისგან უეჭველ გამარჯვებას ელოდნენ.

საერთოდ უნდა ითქვას, რომ საბერძნეთის ნაკრები ყველასგან გამორჩეულ კალათბურთს თამაშობს და როცა მათ საკუთარი კედლებიც უმაგრებს ზურგს, მაინ ელინთა შეჩერება პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება.

ახლაც ასე იყო. პუერტორიკოელებმა სრულიად ცარიელ დარბაზებში წაგება პრინციპული შეხვედრები და ასეთ დაძაბულ ვითარებაში მასპინძლებთან მარცხი, აბა, ვის გაუკვირდებოდა? ისე კი უნდა ითქვას, რომ ბერძნებს არცთუ იოლად გუმარჯვიათ, როგორც მატჩის დასაწყისში გეგმავდნენ.

ედი კასიანოს კარგი თამაშით ფრთაშესხმული ამერიკელები ბერძნებს დიდი ანგარიშით დაწინაურების საშუალებას არ აძლევდნენ და ზუსტი სამქულიანების შესრულებით საკმაოდ ანერვიულებდნენ. ერთ მომენტში გუნდებს შორის სხვაობა ორ ქულამდეც კი დავიდა 55:53, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ისევ მაყურებელმა თქვა თავისი სიტყვა. გამაყრუებელ ღრიალში პუერტორიკოელებმა რამდენიმე საბელისწერო შეცდომა დაუშვეს და გამარჯვებაც მეტოქეს გადაულოცეს.

ბერძენთაგან ამ საღამოს თავი ნიკოს ეკონომუმ (19 ქულა) და ახალბედა ფორვარდმა დიმიტრის პაპანიკელოუმ (12 ქულა) გამოიჩინეს. პუერტორიკოელთაგან კი საუკეთესოები კასიანო და 13 ქულის ჩამგდები ორლანდო ვეგა იყვნენ.

რუსეთი 71:55 (30:30) იტალია

რუსეთი: ბაბკოვი (26), კარასიოვი (10)
იტალია: ფუჩკა (15), კიაზიგი (12)

ეს მატჩი მეორე ეტაპის პირველ დღეს გასამართ თამაშებს შორის ყველაზე პრინციპულად იყო მიჩნეული და უნდა ითქვას, რომ ათენის ოლიმპიურ დარბაზში მისულ გულშემატკივრებს იმედები სრულად გაუმართლდათ.

შეხვედრის ანგარიშმა მავანს შეიძლება აფიქრებინოს, რუსებს თექვსმეტი ქულის სხვაობით მოუგიათ და ასეთ თამაშს დაძაბულს, აბა, როგორ უწოდებთო, მაგრამ გვინდა დაგარწმუნოთ, რომ ანგარიში ნამდვილად არ ასახავს მოედანზე განვითარებულ მოვლენებს.

შეხვედრა მეტად ნერვიულად დაიწყო. აშკარა იყო, რომ ამ გუნდებისთვის მატჩს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭებოდა. ორივე ნაკრებმა ხომ თავის ჯგუფში მეორე ადგილი დაიკავა, რაც იმას ნიშნავს, რომ შემდგომ ეტაპზე პირველივე ბრძოლაში დამარცხებით ისინი მეოთხედფინალში გასვლის შანსებს ერთიორად შეიმცირებდნენ.

ასე რომ, წაგება არავის სურდა და მატჩიც უაღრესად თვალსასაერო გამოდგა. რუსებიცა და იტალიელებიც ძირითად აქცენტს დაცვაზე აკეთებდნენ, რის გამოც ვერც ერთმა მათგანმა ვერ მოახერხა სოლიდური სხვაობით წინ გაჭრა.

საბოლოოდ პირველი ნახევარი ფრედ დასრულდა, რაც მაყურებელს მეორე ტაიმში უფრო დაძაბულ თამაშის ხილვას აღუთქვამდა, მაგრამ... „სკუადრა აძურას“ საუბედუროდ, რუსებს თავიანთ შემადგენლობაში სერგეი ბაბკოვიც ჰყავდათ. ამ მცველმა პირდაპირ სიცოცხლე გაუმწარა იტალიელებს და მთელი შეხვედრის განმავლობაში ზუსტი სამქულიანი ტყორცნებით მათ თვითრწმენა დაუკარგვინა.

მშვენივრად მოთამაშე მცველს იმ საღამოს მიხაილ მიხაილოვიც წაეხმარა, რომელმაც საერთო ჯამში ფარდან ასხლეტილი ბურთი 15-ჯერ მოხსნა. ისე, საგულისხმო ფაქტია, რომ ამ მაჩვენებლით რუსებმა აშკარად დაჩაგრეს მეტოქე 42:22

F ჯგუფი

ლიტვა 61:71 (37:35) ავსტრალია

ლიტვა:
ავსტრალია: გეიზი (24), ჰილი (11), ანსლი (11)

ჯგუფურ ტურნირში ორი დამარცხების შემდეგ არავის ეგონა, რომ ავსტრალიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატის უპირველესი სენსაციის მომხდენი ლატვიის დამარცხებას შეძლებდა.

მართალია, ათენის ტურნირის დაწყებამდე აშშ-ში გამართულ კეთილი ნების თამაშებზე მწვანე კონტინენტის კალათბურთელები მშვენივრად ირჯებოდნენ და ფინალში კინაღამ მასპინძელთა უძლიერესი გუნდიც იშსხვერპლეს, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონტი ხომ მაინც სულ სხვაა.

არა, იმის თქმა ნამდვილად არ გვსურს, რომ ავსტრალიას სუსტი გუნდი ჰყავს, უბრალოდ... შეხვედრას, ცოტა არ იყოს, საეჭვო ელფერი დაჰკრავდა და თუ რატომ, ამას ახლავე მოგახსენებთ.

როგორც იცით, მეოთხედფინალის საგზურს პირველობის დებულებიდან გამომდინარე E და F ჯგუფებში პირველ ოთხ ადგილზე გასული ნაკრებები მოიპოვებენ. ავსტრალიელებს კი, რომლებმაც ორი შეხვედრა — ესპანელებთან და არგენტინელებთან — D ჯგუფში ასპარეზობისას უკვე წააგეს, უკან დასახავი გზა მოჭრილი ჰქონდათ, რადგან ლიტველებთან მარცხის შემთხვევაში ისინი სავარაუდოდ, აშშ-თანაც წააგებდნენ და სანუკვარ ოთხეულს მიღმა დარჩებოდნენ. ამიტომ შეხვედრის არბიტრებმა ყველაფერი გააკეთეს, რათა ბალტიისპირელები ცუდ დღეში ჩაეგდოთ და მათთვის გამარჯვების შანსი მოესპოთ.

ავსტრალიელებმაც, რომ ნახეს, ოფიციოზი ჩვენს მხარესაა, გაილაღეს. 33 წლის ბებერმა ენდრიუ გეიზმა კი ნამდვილი ბენეფისი მოიწყო. 24 ჩაგდებული ქულის გარდა იგი მშვენიერ პასებსაც იძლეოდა და დამსახურებულად ირგუნა შეხვედრის საუკეთესო მოთამაშის პრიზი.

ლიტველები კი... კაცმა რომ თქვას, მათთვის ეს მარცხი არც ისე საგანგაშოა. ისინი მეოთხედფინალში, ალბათ, უეჭველად მოხვდებიან. იქ კი რა მოხდება, ნამდვილად არავინ იცის.

აშშ 87:74 არგენტინა

აშშ: ალექსისი (20), ოლივერი (18), ჰოუკინსი (15)
არგენტინა: ნიკოლა (26)

„ეს გახლდათ ყველაზე ძნელი მატჩი, რომელიც ჩემმა გუნდმა ამ ჩემპიონატზე ჩაატარა“ — ამერიკელთა მთავარი მწვრთნელის რუდი ტამიანოვიჩის სიტყვები, ალბათ, ნათლად ასახავს მისი ნაკრების არასახარბიელო მდგომარეობას.

ამერიკელები სულაც არ ჰგვანან გუნდს, რომლის დამარცხებაც შეუძლებელია. ეს ჯერ კიდევ ჯგუფურ ტურნირში ლიტველებმა დამტკიცეს და ასეც რომ არ იყოს, ოკეანისგაღმელთათვის ყველა მატჩი ნამდვილ სატანჯველადაა ქცეული. იმის შიშით, ვაითუ წავაგოთ და საქვეყნოდ თავი მოგვეჭრასო, ისინი თამაშის ხარისხს შეხვედრიდან შეხვედრამდე აუარესებენ და ნებისმიერი ხერხით ცდილობენ გამარჯვების მოპოვებას.

„დღესაც რომ წაგვეგო, ჩვენს ჯგუფში ერთბაშად ოთხ გუნდს გავუშვებდით წინ, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ ასე არ მოხდა. ახლა სიტუაცია სულ სხვაგვარადაა და მხოლოდ ესპანეთის ნაკრები გვესწრებს“ — აბა, კარგად დავფიქრდეთ, სხვა დროს ასეთ სიტყვებს აშშ-ის ეროვნული გუნდის რომელიც თავკაცი იტყოდა?

ისე, რაც ჩემპიონატი დაიწყო, ამერიკელებზე არც ერთი თბილი სიტყვა არ დაგვცდენია, რამაც მკითხველებს იქნებ ისიც კი აფიქრებინოს, ოკეანისგაღმელთა მიმართ სუბიექტურად არიან განწყობილი, მაგრამ გულახდილად ვთქვათ, იმსახურებს კი ეს ნაკრები შექებას?

თუმცა მათ შორის არიან ცალკეული კალათბურთელები, რომელთა თამაშიც აღფრთოვანებას იწვევს. ასეთი თუნდაც 34 წლის ვენდელ ალექსისია. მას თავი არც არგენტინელთა წინააღმდეგ გამართულ შეხვედრაში შეურცხვენია და გუნდს 20 ქულა მოუტანა. საერთოდ კი ამერიკელებმა ნასროლი სამქულიანების 52 პროცენტი გამოიყენეს, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

არგენტინელთაგან, რომლებმაც წაგებით საქმე უაღრესად გაირთულეს, საუკეთესო 26 ქულის ჩამგდები მარსელო ნიკოლა გახლდათ.

ბრაზილია 63:73 ესპანეთი

ბრაზილია: ვიანა (15)
ესპანეთი: ანგულო (17), როდრიგესი (17)

საკვირველია, მაგრამ ესპანელთა თამაში ბევრად განსხვავდება იმისგან, რასაც ეს ნაკრები ჯგუფურ ტურნირში აჩვენებდა.

გახსოვთ, ალბათ მაშინ ესპანელებმა საკმაოდ ძლიერ ავსტრალიისა და არგენტინის ეროვნულ გუნდებს ერთი კინკილა ქულის სხვაობით მოუგეს და მართალია, ჯგუფში პირველ ადგილზე გავიდნენ, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონობის პრეტენდენტის შთაბეჭდილება ნამდვილად არ დაუტოვებიათ.

აი, მეორე წრის პირველ შეხვედრაში კი ესპანელებს ვერ იცნობდით. არ ვიცით, ბრაზილიელთა სისუსტის ბრალი იყო თუ სხვა რამ, მაგრამ ევროპელები იმდენად ლაღად, უპრობლემოდ გაუსწორდნენ მეტოქეს, ვერც კი იფიქრებდით, რომ საკმაოდ ძლიერ მეტოქეს ეთამაშებოდნენ.

მოკლედ, ესპანელებმა საკმაოდ ადვილი გამარჯვება მიითვალეს, რასაც უპირველესად ალბერტო ანგულოსა და იგნასიო როდრიგესს უნდა უმადლოდნენ, რომლებიც 17-17 ქულით შეეწივნენ გუნდს.

ბრაზილელთაგან მხოლოდ 15 ქულის მომტანი, 34 წლის ვეტერანი ცენტრი ჟოაო ნოსე ვიანა, იგივე „პიპოკა“, ჯახირობდა რაღაცას, მაგრამ მარტო ვერაფერს გახდა.

3 აგვისტო

E ჯგუფი

პუერტო რიკო 94:81 (44:42) კანადა

პუერტო რიკო: კასიანო (23), ვეგა (16), ორტისი (15)
კანადა: ნიუტონი (25), მიკსი (12), ნიოკუ (11)

ჯგუფის აუტსაიდერთა შეხვედრა თავისებურად დაძაბული გამოდგა. ორივე გუნდის კალათბურთელებს კარგად ესმოდათ, რომ ამ მატჩში დამარცხებულს მეოთხედფინალში გასვლის იმედი საბოლოოდ გადაეწურებოდა.

საბოლოოდ გამარჯვება უფრო გამოცდილ პუერტორიკელებს დარჩათ. თუმცა სასურველი შედეგის მიღწევა არც ისე ადვილი აღმოჩნდა. წინა დღით იუგოსლავიელებთან 40 ქულით განადგურებულ კანადელებს მტკიცედ გადაეწყვიტათ შელახული ღირსების აღდგენა და მედრადაც იბრძოდნენ.

ჩრდილოამერიკელთაგან საუკეთესო ნიუტონის ძალისხმევით პირველი ტაიმი სულ ორი ქულის სხვაობით 42:44 დასთავრდა. თუმცა შესვენების შემდეგ პუერტორიკელებმა მაინც იძალეს და სანუკვარი ორი ქულის მოპოვებით საუკეთესო რვეულში მოხვედრის შანსი შეინარჩუნეს.

ამ გამარჯვებაში მათგან ყველაზე დიდი წვლილი კასიანოს მიუძღვის — 23 ქულა, ხოლო ორლანდო ვეგა და ხოსე ორტისი შესაბამისად 16 და 15 ქულით შეეწივნენ გუნდს.

საბერძნეთი 48:60 (24:28) რუსეთი

საბერძნეთი: ალვერტისი (12), პაპანიკოლაუ (8), ეკონომუ (8)
რუსეთი: ბაბკოვი (18), კარასიოვი (14), კისურინი (11)

იუგოსლავია	5	4	1	420:310	9
რუსეთი	5	4	1	374:316	9
საბერძნეთი	5	4	1	329:309	9
იტალია	5	3	2	327:330	8
პუერტო რიკო	5	2	3	375:375	7
კანადა	5	1	4	347:403	6

დღეს, ბოლო ტურში ერთმანეთს ხვდებიან:

18.30 — რუსეთი — კანადა
20.45 — პუერტო რიკო — იტალია
23.00 — იუგოსლავია — საბერძნეთი

F ჯგუფი

ლიტვა 84:75 (41:33) არგენტინა

ლიტვა: შტრომბერგასი (19), კარნიშოვასი (11), ეინიკისი (11)
არგენტინა: ესპილი (18), ობერტო (11), მონტეკია (11)

ავსტრალიელებთან წინა დღით განცდილი მარცხი მთლად სამართლიანი რომ არ გახლდათ, ლიტველებმა არგენტინის საკმაოდ ძლიერ ნაკრებთან შეხვედრაშიც დამტკიცეს. ბალტიისპირელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს თამაშის სადავეები და მთელი მატჩის განმავლობაში ლიდერობდნენ.

REUTERS ათენიდან

ლიტვა—არგენტინა. ბალტიისპირელთა დაცვას ვერც არგენტინელმა სკონოჩინიმ (5) დააკლო რამე

თუმცა, არგენტინელთა სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მათ ფარ-ხმალი არ დაყარეს. ჯგუფურ ტურნირში საუცხოო სტილში მოპოვებული ორი გამარჯვების შემდეგ სამხრეთამერიკელები ერთხმად ტურნირის აღმოჩენად შერაცხეს, მაგრამ ბოლო მატჩში ესპანელებთან მათ დასანანი მარცხი იგემეს და ლიტვასთანაც რომ წაეგოთ, მეოთხედფინალში გასვლის შანსი ერთობ შეუმცირდებოდათ.

ამიტომ ხულიო სეზარ ლამას ქვეშევრდომები ლიტველთა შეტევებს არ შეუშინდნენ და მათ ფიცხელი ომი გაუმართეს. მაგრამ ძალა აღმართს ხნავსო, ნათქვამია და პირველი ტაიმის მიწურულს ევროპელთა უკეთესმა ფიზიკურმა მომზადებამ და გამოცდილებამ თავისი გაიტანა. ლიტველებმა მეტოქის მოდუნებით ისარგებლეს და რიგწუთიანი მონაკვეთის 7:0 მოგებით ტაიმი თავიანთ სასარგებლოდ დამთავრეს 41:33.

აი, მეორე ტაიმის დასაწყისში კალათუსკასის შეგირდების უპირატესობა უკვე თვალშისაცემი გახდა. ლიტველები თავისუფლად აკონტროლებდნენ ბურთს და ანგარიშსაც მეთოდურად ზრდიდნენ. ასე გაგრძელდა იქამდე, სანამ ერთ მომენტში სხვაობამ 19 ქულას არ მიაღწია. აქ ლიტველებმა საქმე დამთავრებულად ჩათვალეს და თავს ამოსუნთქვის საშუალება მისცეს.

ეს კი ისეთ დიდ ტურნირზე, როგორიც მსოფლიოს ჩემპიონატია, უმალ ისჯება. არგენტინელებმაც ნელ-ნელა დაიწყეს ანგარიშის შემცირება და მატჩის დამთავრებამდე სამი წუთით ადრე სხვაობა 6 ქულამდე დაიყვანეს.

ლიტველებმა დროზე იგრძნეს, რომ ასე გაგრძელება კარგს არაფერს უქადდათ. მათ საბოლოოდ მოიკრიბეს ძალა და შტრომბერგასის (19 ქულა) დაწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანეს.

ავსტრალია 75:63 (31:35) ბრაზილია

ავსტრალია: როჯერსი (20), გეიზი (16), ჰილი (13)
ბრაზილია: კლაფკე (15), ფერასიუ (12)

ავსტრალიელთაგან ამ ბოლო ხანებში ბრწყინვალედ ათამაშებულმა 33 წლის ვეტერანმა ენდრიუ მეიზმა გაიბრწყინა. მართალია, იგი პირველ ტაიმში საკმაოდ პასიურობდა და ვერც ერთი ქულის მოპოვება ვერ შეძლო, მაგრამ იმ მომენტში, როდესაც მის გუნდს ყველაზე მეტად უჭირდა, ინიციატივა სწორედ გამოცდილმა თავდამსხმელმა იგდო ხელთ. გეიზის მიერ მეორე ნახევარში გაკეთებულ 16 ქულას უნდა უმადლოდეს მწვანე კონტინენტის ნაკრები, რომ პირველ ტაიმში სამქულიანი ჩამორჩენა მალე გაანადგურა და უკვე მეორე ნახევრის მეექვსე წუთისთვის 45:39 წინა გაიჭრა.

გუნდის ლიდერს იმ საღამოს არც ძმიმე ფორვარდი პოლ როჯერსი ჩამორჩა. ის კი არა, 20 ქულის ჩაგდებით, მან ავსტრალიელთა შორის ბომბარდირობაც დაიბევა.

ამ მოგებით ავსტრალიამ F ჯგუფში მეოთხე ადგილზე აინაცვლა, რაც მეოთხედფინალში გასვლის კარგ შანსს იძლევა.

ბრაზილიელთა უფერული გამოსვლა კი შეიძლება დასრულებულად ჩაითვალოს. ახლა მათ ოდენ 9-11 ადგილებისთვის მოუწევთ გარჯა.

აშშ 75:73 (31:42) ესპანეთი

აშშ: ოლივერი (17), მილერი (12), გარისი (11)
ესპანეთი: ერეროსი (27), რეიესი (10)

ლიტვა	5	4	1	392:346	9
აშშ	5	4	1	415:352	9
ესპანეთი	5	4	1	371:349	9
ავსტრალია	5	3	2	354:331	8
არგენტინა	5	2	3	350:352	7
ბრაზილია	5	1	4	323:370	6

დღეს, ბოლო ტურში ერთმანეთს ხვდებიან:

18.30 — ესპანეთი — ლიტვა
20.45 — არგენტინა — ბრაზილია
23.00 — ავსტრალია — აშშ

და ბოლოს, გაგაცნობთ იმ მატჩების ტექნიკურ შედეგებს, რომლებიც მე-13-15 ადგილებისთვის გაიმართა:

2 აგვისტო

მატჩები მე-13-15 ადგილებისთვის

ნიგერია 89:65 (45:36) კორეა

ნიგერია: ავოიბი (24), აჩა (20), ეკეზიე (19)
კორეა: ჰიუნ ჯოპ იუპი (16), სეო იანგ ჰონი (12), მუნ კიუნგ ეუნი (10), კიმ ბიონგ ჩული (10)

სენეგალი 55:60 იაპონია

3 აგვისტო

– მატჩი მე-13 ადგილისთვის

ნიგერია 70:60 (33:23) იაპონია

ნიგერია: ოგუდაირე (19), ავოიბი (12), აინლა (12)
იაპონია: ორიმო (16), ტაკაჰაში (15), მინიმაიამა (14)

მატჩი მე-15 ადგილისთვის

კორეა 72:75 (42:45) სენეგალი

კორეა: ლი სენგ მინი (21), მუნ კიუნგ ეუნი (18), სეო იანგ ჰუნი (14)
სენეგალი: ბა (24), დია (16), აუ (10)

საბოლოოდ მსოფლიოს ჩემპიონატზე მე-13-დან მე-16-მდე ადგილები შემდეგნაირად განაწილდა:

13. ნიგერია; 14. იაპონია; 15. სენეგალი; 16. კორეა

ირაკლი ხმელიძე

აგასი ლიფტში



ლინდსი დევენპორტი

სტენფორდი. აშშ. **BANK OF THE WEST CLASSIC.** ტარდება ჰარდზე საპრიზო 450 ათასი $

მეოთხედფინალი: მონიკა სელეში (2, აშშ) — ანა გეილ სიდო (საფრანგეთი) 6:3, 6:1; შტეფი გრაფი (4, გერმანია) — ნატაშა ზვერევა (5, ბელარუსი) 6:1, 6:3; ლინდსი დევენპორტი (1, აშშ) — ტამარინე ტანასუგარნი (ტაილანდი) 7:6 (7:3), 6:1; ვინუს უილიამსი (3, აშშ) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი) 6:2, 6:4.

ბელარუსმა ნატაშა ზვერევამ თვრამეტი პირადი შეხვედრის წაგების შემდეგ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი შტეფი გრაფი სლორედ მის საყვარელ უიმბლდონზე რომ გააგდო, ძალიანაც გაამწარა, ამიტომ სტენფორდის ტურნირის მეოთხედფინალს ამ ორ მეტოქეს შორის მეტად პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. „მასთან უიმბლდონზე წაგებამ ძალიან მატკინა გული და დღეს განსაკუთრებით კარგად მინდოდა მეთამაშა“ — განაცხადა შტეფიმ.

თუმცა, დიდ გერმანელს მაინცდამაინც დიდი ჯაფა არ დადგომია: თითქოს მეტოქის შურისძიებით შეშინებული ბელარუსი საკმარისზე ხშირად სცოდავდა, გრაფს თავიდანვე 5:0 დაწინაურება დაანება, მეორე ხელის ბოლოს ზედიზედ ორჯერ წაგებული მოწოდება კი ძვირადაც დაუჯდა. „მთავარია, რაც შეიძლება ბევრი ურტყა მისი ბექჰენდის მხარეს, თუმცა დღეს ეს ნაკლებად გამომივიდა, შტეფი ძალიან გონივრულად ირჯებოდა“ — თავი იმართლა ზვერევამ.

ნახევარფინალი: დევენპორტი — გრაფი 6:4, 6:7 (4:7), 6:3; უილიამსი — სელეში 6:3, 6:4.

მიუხედავად იმისა, რომ ტრავმებით გატანჯული გრაფი სეზონის მხოლოდ მეექვსე ტურნირში მონაწილეობდა და თავისი საუკეთესო ფორმისგანაც ძალიან შორს იყო, მსოფლიოს მესამე ჩოგან ლინდსი დევენპორტს მისი დამარცხება მოსალოდნელზე გაცილებით მეტად გაეხარდა: „ხალხი ამბობს, რომ მას წელიწადნახევარი გაუცდა და აღარც კლასიფიკაციაში უჭირავს ისე მაღალი ადგილი, მაგრამ შტეფი, ჩემი აზრით, ძალიან კარგად თამაშობდა, ამიტომ ეს გამარჯვება ძალიან მნიშვნელოვნად მიმაჩნია.“

მატჩი, რომელიც თითქმის ორსაათნახევარი გრძელდებოდა, ძალზე დაძაბულად წარიმართა. სუსტად ჩატარებული პირველი სეტის შემდეგ გრაფი მეორეში ჯერ 4:1 დაწინაურდა, მერე 5:3, თუმცა საქმე მაინც სატაიბრეიკოდ გაუხდა. აქ გერმანელი მსაჯის ერთმა საეჭვო გადაწყვეტილებამ ძალიან გააღიზიანა და თავისი უკმაყოფილება მეზობელი კორტების გასაგონადაც გამოთქვა, თუმცა თავის მოთოკვა და ანგარიშის გათანაბრება მაინც მოახერხა. გადამწყვეტ პარტიაში უპირატესობა ისევ გერმანელის მხარეს იყო, თუმცა 2:2-ზე, მერე 3:3-ზე რამდენიმე ბრეიკ-პოინტი ვერ გამოიყენა და ამასობაში ფიზიკურმა მოუმზადებლობამაც იჩინა თავი. „უკანასკნელი 12 თვის მანძილზე მძიმე სამსეტიანი მატჩები თითქმის არ მითამაშია, ამიტომ შეხვედრის მიწურულს გარბენის თავიც კი არ მქონდა. თუმცა, მეორე მხრივ, ის მაინც გავიგე, რაზე უნდა ვიმუშაო უახლოეს ხანს.“ გრაფს ბოლო სამ გეიმში გადაღლის გამო ფეხის კუნთების კრუნჩხვები დაემართა.

მეორე, არანაკლებ საინტერესო ნახევარფინალში მონიკა სელეშსა და ვინუს უილიამსს შორის ამ უკანასკნელმა თავი გამოიდო და ყველა დროის საუკეთესო მიმღებად აღიარებულ მეტოქეს 12 ეისი მოუწოდა, რაც ქალთა ჩოგბურთისთვის წარმოუდგენლად ბევრია. „ცხოვრებაში მსგავსი არაფერი მინახავს. ნეტა ვინუსის ათლეტური მონაცემები მქონდეს და მასავით მოწოდება შემეძლოს“ — ეს სელეშის კომენტარია.

ფინალი: დევენპორტი — უილიამსი 6:4, 5:7, 6:4.

დევენპორტს, რომელიც სტენფორდის ტურნირის ნახევარფინალს აქამდე ზედიზედ ხუთი წელი აგებდა, ტიტულის მოსაპოვებლად პირველივე ცდა ეყო.

ვინუს უილიამსმა ამჯერად 12 კი არა, 14 ეისი მოაწოდა, როდესაც უიმედოდ აგებდა, პატარა თაღლითობები მოიშველია და ზედიზედ სამი შესვენება ექიმის გამოძახებითა და ნატკენი (?) კოჭის შეხვევით გააჭიანურა, მაგრამ ზორბა ლინდსის შეჩერება მაინც ვერ მოახერხა. „შესვენებებმა თამაშის რიტმი დამირღვია, მაგრამ შევეცადე, კონცენტრაცია სრულად არ გამფანტვოდა. უცნაური მატჩი იყო, ძალიან ბედნიერი ვარ, რომ მოვიგე“ — განაცხადა ლინდსიმ, რომელმაც 79 ათასი დოლარი ჩაიჯიბა და რამდენიმეწუთიანი დასვენების შემდეგ ნატაშა ზვერევასთან ერთად წყვილების ფინალიც მოიგო.

დიდი სიცხის გამო მესამე სეტის დაწყებამდე მთავარმა მსაჯმა მოთამაშეებს 10-წუთიანი შესვენების უფლებაც მისცა, რაზეც პრეტენზია, ოღონდ მატჩის შემდეგ, უილიამსმა გამოთქვა, მერე რა მოხდა, ჩემთან, მაიამიში, გაცილებით ცხელაო.

ლოს ანჯელესი. მერსედეს-ბენცის თასი. ტარდება ჰარდზე. საპრიზო 345 ათასი $.

მეოთხედფინალი: ჯასტინ გიმელსტობი (აშშ) — პატრიკ რაფტერი (1, ავსტრალია) 6:4, 6:3; ტიმ ჰენმანი (2, ინგლისი) — ბაირონ ბლექი (7, ზიმბაბვე) 5:7, 6:1, 6:4; ანდრე აგასი (5, აშშ) — სენდონ სტოლი (ავსტრალია) 7:6 (7:2), 6:2; გიიომ რაუქსი (საფრანგეთი) — მაიკლ ჯოისი (აშშ) 6:7 (7:9), 6:4, 7:5.

მეოთხედფინალში ორმეტრიანი იმედისმომცემი ამერიკელი ჯასტინ გიმელსტობი დიდი სენსაციის ავტორი შეიქნა — მან ასპარეზობიდან თვით ამერიკის ღია პირველობის გამარჯვებული პატრიკ რაფტერი გამოთიშა. „ეს ჩემი სახლია“ — განაცხადა გიმელსტობმა, რომელმაც კარიერის მეორე საუკეთესო გამარჯვებაც — ანდრე აგასისთან სწორედ ამ კორტზე, შარშანდელი ტურნირის პირველ წრეში მოიპოვა.

რაც შეეხება აგასის, მეოთხედფინალში მას გამარჯვება არ გასჭირვებია, თუმცა ამ დღეს თავი უფრო იმით გამოიჩინა, რომ დევისის თასის ნახევარფინალში მონაწილეობაზე უარი განაცხადა — მილუოკიში (25-27 სექტემბერს აშშ იტალიას მასპინძლობს) ვერასზით ვიქნები, 26-ში ლას ვეგასში საქველმოქმედო ორგანიზაციის სადილზე ვარ მიწვეული, ხომ გთხოვთ, მატჩი სან დიეგოში გაგემართათო.

ნახევარფინალი: აგასი — გიმელსტობი 6:0, 7:6 (7:2); ჰენმანი — რაუქსი 7:5, 6:3.

გიმელსტობმა ნახევარფინალში წაგებით იხტიბარი არ გაიტეხა, ეს მაინც ჩემი ადგილია, უბრალოდ, ამ ერთი წლით ანდრესაც შეუძლია ისარგებლოსო.

აგასისა და გიმელსტობის მატჩს ორივესთვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა — ანდრეს შარშანდელი მარცხისთვის შურისძიება სურდა, მისი მეტოქე კი აგასის კომენტარს გაენაწყენებინა, გიმელსტობი იქნებ საუკეთესო 30-ეულშიც მოხვდეს, მაგრამ, ჩემი აზრით, მასზე დიდი მომავალი მაინც ჟან-მაიკლ გემბილს ექნებაო.

პირველი ხელში 20 წუთში განადგურების შემდეგ გიმელსტობი სახელოვან მოწინააღმდეგეს მტკიცედ დაუდგა და საკუთარი მოწოდება აღარც დაუკარგავს, თუმცა, ტაი-ბრეიკზე მაინც აგასიმ იმარჯვა, მერე კი განაწყენებული გიმელსტობის აბუჩად აგდებაც არ დავიწყებია: „ჩემი მოსაზრება, ალბათ, მართლაც ძალიან სუბიექტური იყო. მას შეუძლია მოუმატოს, თუმცა რამდენად, მხოლოდ დრო გვიჩვენებს. იქნებ მსოფლიოს პირველი ჩტოვნობაც კი უდევს გულში.“

ფინალი: აგასი — ჰენმანი 6:4, 6:4.

ასეთი მაღალი კლასის ჩოგბურთელების შეხვედრის კვალობაზე ფინალი საკმაოდ უინტერესო იყო, იმდენად, რომ ერთი ამერიკელი ჟურნალისტი მატჩის ცქერის ნაცვლად ცენტრალურ კორტზე მისული ჰოლივუდელი ვარსკვლავების — ბილი კრისტალის, უილიამ შატნერისა და ამათნაირებისთვის ინტერვიუების ჩამორთმევით უფრო ერთობოდა.

ცოდვა კი ტიმ ჰენმანს აწევს კისერზე — ინგლისელთა კერპი ხეირიან დარტყმას იშვიათად თუ გამოურევდა, პირველი მოწოდების პროცენტი საშინლად დაბალი ჰქონდა და მეორე სეტის ორივე ბრეიკი საკუთარი ორმაგი შეცდომით დანება მეტოქეს. ჰოდა, აგასისაც რაღა დარჩენოდა, გულგრილი სახით იდგა კორტის საკუთარ კიდეში, ტრიბუნებს ათასში ერთხელ თუ გამოაცოცხლებდა ბრწყინვალე მილებით ან შემოვლებით და გამარჯვების აღსანიშნავად ლამის კეის მოხდაც კი დაეზარა.

„მაღალი დონის მატჩი არ იყო, მაგრამ საკუთარი თამაშით კმაყოფილი ვარ. წლიულ კლასიფიკაციაში 130 ნაფეხურით წავიწევ და ახლა 11-ლე დავრჩები“ — განაცხადა ანდრემ, რომელიც შარშან ნოემბერში 142-ე ჩოგანი იყო. ამ გამარჯვებით კი მეთერთმეტე ადგილზე გადაინაცვლა.

აგასიმ ფინალის ჩათვლით ზედიზედ 11 მატჩი მოიგო, ამ ხნის განმავლობაში ერთი სეტიც არ დაუთმია, ერთი სეტპოინტის გადარჩენაც არ დასჭირვებია და საკუთარი მოწოდება მხოლოდ სამჯერ დაკარგა. „ეს ბლექჯექის მაგიდასთან თამაშს ჰგავს. რაც უფრო დაიცდი, მით უფრო მეტი გროვდება, თანაც სულ უფრო სწრაფად“ — აგასი ლას ვეგასის მკვიდრია.

კიცბუელი. ჯენერალი ოუფენ. ტარდება თიხნარზე. საპრიზო 575 ათასი $.

ნახევარფინალი: ალბერტ კოსტა (3, ესპანეთი) — ფრანკო სკოლარი (16, არგენტინა) 7:5, 1:6, 6:3; ანდრეა გაუდენცი (7, იტალია) — ფრანსისკო კლავეტი (6, ესპანეთი) 6:2, 2:6, 6:2.

ფინალი: კოსტა — გაუდენცი 6:2, 1:6, 6:2, 3:6, 6:1.

უმაგი. ხორვატიის საერთაშორისო ჩემპიონატი. ტარდება თიხნარზე. საპრიზო 400 ათასი $.

ნახევარფინალი: მაგნუს ნორმანი (6, შვედეთი) — ხუან ანტონიო მარინი (კოსტა რიკა) 7:6 (7:3), 6:3; ბოგდან ულირახი (7, ჩეხეთი) — მარიანო პუერტა (არგენტინა) 6:3, 6:3.

ფინალი: ულირახი — ნორმანი 6:3, 7:6 (7:0).

ავთანდილ სვანიძე

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი
ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე:
ილია ბაბუნაშვილი
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი:
ვახტანგ ბზიკაძე
ტექნიკური რედაქტორი
გურამ ხელაშვილი
კალათბურთის განყოფილების გამგე:
ავთანდილ გურასაშვილი
ინფორმაციის განყოფილების გამგე:
სოსო კოტორეიშვილი
ფეხბურთის რედაქციი. ქართული ფეხბურთის განყოფილება:
კონსტანტინე გოგიშვილი, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ხვიჩა სანიკიძე
უცხოური ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, დავით კოვზირიძე ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
კალათბურთის განყოფილება:
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი
ინფორმაციის განყოფილება:
ავთანდილ სვანიძე, ირაკლი თავაძე
კორესპონდენტი ქუთაისში
იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები:
მაია აბზიანიძე ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ტრისტან ჯაფარაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29

უიღბლოს იღბალი



მარკო პანტანი

98 LETOUR DE FRANCE

მე-20 ეტაპი. სიჩაუქის გამოცდა მონკო-ლე-მინიდან პრეზამდე. 52 კმ.

ტურის ბოლოსწინა ეტაპს — სიჩაუქის გამოცდას საერთო ჩათვლაში გარკვეული ცვლილებების შეტანა კი შეეძლო, მაგრამ ტურის შარშანდელი გამარჯვებული და ამ დისციპლინის საუკეთესო სპეციალისტი ან ულრიხი პირველ ადგილზე მყოფ მარკო პანტანის თითქმის ექვსი წუთით ჩამორჩებოდა, რაც იტალიელს ყვითელი მაისურის შენარჩუნების თითქმის ასპროცენტიან გარანტიას აძლევდა.

მაგრამ, როგორც იტყვიან, ცდა ბედის მონახევრეაო და ულრიხმაც, რომელიც რბოლის წინ აცხადებდა, პანტანის ვედარაფრით დავეწევიო, ამ 52 კილომეტრს მთელი შემორჩენილი ძალები დახარჯა. გერმანელი პირველივე ნიშნულთან იტალიელს ნახევარი წუთით უგებდა და უპირატესობასაც თანდათან ზრდიდა, მაგრამ, თავის მხრივ, ჩია მთიანი ტრასების ოსტატმაც შესაშური გამძლეობა და ნებისყოფა გამოიჩინა და მისი მონაცემების მრბოლისთვის მეტად უჩვეულო, მესამე ადგილიც დაიკავა, გერმანელს კი ჩამორჩენის განახევრების საშუალებაც კი არ მისცა.

ასე რომ, ულრიხს სეზონის მესამე ეტაპის მოგებითა და საერთო ჩათვლაში მეორე ადგილზე გადანაცვლებით დაკმაყოფილება მოუხდა, თუმცა საგაისოდ თავისი ამბიციები არ დაუმალავს: „პანტანი დიდი ჩემპიონია და გამარჯვებასაც იმსახურებს, მაგრამ გაისად მე მხოლოდ მოსაგებად დავბრუნდები.“

მე-20 ეტაპი: 1. ულრიხი — 1:03,52; 2. ბობი ჯულიჩი (აშშ) +1,01; 3. პანტანი +2,35; 4. დარიუშ ბარანოვსკი (პოლონეთი) +3,11.

21-ე ეტაპი. მელონიდან პარიზამდე 146 კმ.

უკანასკნელ ეტაპს, როგორც მოსალოდნელი იყო, ლიდერთა პოზიციები არ შეუცვლია და ისტორიაში ყველაზე უიღბლო ტურმაც შესაბამისი ტრიუმფატორი შეირჩინა.

მარკო პანტანის მთელი თავისი კარიერის მანძილზე ტრავმებს და ათასგვარ უბედურებასთან უხდებოდა ჭიდილი. სხვადასხვა წლებში მოუტეხია ლავიწი, მაჯა, მკლავები, ფეხი, ნეკნები, ორჯერ მოულია ტვინის შერყევა, ამოუგდია მხარი და ა.შ. ყველაზე უიღბლო მაინც 1995 წელი იყო. ხოტორა თავისა და პარტყუნა გამოშვერილი ყურების გამო „სპილუკად“ სახელდებული მრბოლი მარტში გუნდის მანქანას დაეჯახა, მუხლი იტკინა და ჯირო გამოტოვა. „ტურ დე ფრანსზე“ და მსოფლიოს ჩემპიონატზე მესამე ადგილი რომ დაიკავა, თითქოს ყველაფერი მოგვარდა, მაგრამ ოქტომბერში მორიგმა ფათერაკმაც არ დაახანა — 70 კმ-სთ-ით მიმავალი მარკო საწინააღმდეგო მიმართულებით მოძრავ ჯიპს შეასკდა და მარჯვენა მუხლი ლამის ნაწილებად დაეშალა. მომდევნო წელიწედნახევარი პანტანიმ თაბაშირსა და ყავარჯნებში გაატარა, პენსიაზე გასვლაზე ფიქრობდა და თავს ხატვითა და სიმღერების წერით ირთობდა, ერთი ოდა კი თურმე თავის კერპ დიეგო მარადონასაც მუძღვნა.

იტალიელი რბოლას 1997 წლის თებერვალში დაუბრუნდა, საავადმყოფოს კი კიდევ სამ თვეში — გზაზე მოულოდნელად გამოჩენილი კატისთვის თავის არიდებას ტვინის შერყევა და ათობით ნაკერი მოჰყვა.

ამდენი უიღბლობის შემდეგ პანტანის წლების განმავლობაში პირველი სრულფასოვანი სეზონის ჩატარება 1998-ში დასცალდა და შედეგი მართლაც რომ საუცხოო გამოდგა — იტალიელი, ამჯერად ბენდენითა და საყურით დამშვენებული, რამაც „სპილუკა“ „მეკობრედ“ აქცია, ოდენ მეშვიდე მრბოლი შეიქნა ისტორიაში, ერთსა და იმავე წელს ჯიროსა და ტურის მოგება რომ მოუხერხებია (ფაუსტო კოპი — 1949 და 52; ჟაკ ანკეტილი — 1964; ედი მერქსი 1970, 72, 74; ბერნარ ინო — 1982 და 85; სტივენ როუჩი — 1987; მიგელ ინდურაინი — 1992 და 93).

საუკეთესო სპორინტერის მწვანე მაისური გერმანელ ერიკ ცაბელს ერგო, „მთის მეფის“ თეთრ-წითელი მაისური კი ფრანგ კრისტოფ რინერის.

21-ე ეტაპი: 1. ტომ სტილსი (ბელგია) — 3:34, 36; 2. სტეფანო ძანინი (იტალია); 3. სტიუარტ ოგრეიდი (ავსტრალია); 4. ჯორჯ ჰინკაპი (აშშ). — იგივე დრო.

საერთო ჩათვლა: 1. პანტანი — 92: 49,46; 2. ულრიხი +3,21; 3. ჯულიჩი +4,08; 4. რინერო +9,16.

ლაშა ლომჯარია

1998 GOODWILL GAMES

კეთილი ნების თამაშების ბოლო დღეებში ყურადღების ცენტრში კრივი მოექცა, და არა მარტო რინგზე გამართული ცემა-ტყეპის გამო. რუსეთის გუნდმა, რომელიც თამაშებზე მსაჯობით მეტად უკმაყოფილო გახლდათ, დაიქადნა, ასპარეზობის გაგრძელებაზე უარს განაცხადებო. ჩრდილოელი მეზობლები, რომელთა შორის ნამდვილი რუსები სანთლით თუ მოიძებნებოდნენ, ნახევარფინალური შეხვედრების შედეგებმა გაახელა, როდესაც 14-დან 10 მათი მოკრივე დამარცხდა, უმეტესობა მსაჯების ძალიან საეჭვო გადაწყვეტილების გამო.

რუსების დასაშოშმინებლად სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციის წარმომადგენელმა არტურ ტანსტოლმა განაცხადა, არაკეთილსინდისიერი მსაჯობისთვის კუბელი, გვატემალელი, შვედი და გერმანელი მსაჯები მოეკვეთეთ და მათ სხვა საერთაშორისო ასპარეზობებზე მუშობაც ავუკრძალეთო.

როგორც მოსალოდნელი იყო, ლეგენდარულმა კუბელმა მოყვარულმა მოკრივემ — ფელიქს სავონმა, რომელიც უკანასკნელ მსოფლიოს ჩემპიონატზე თავად შეიქნა საეჭვო მსაჯობის მსხვერპლი, თავის ჯილდოთა კოლექცია კეთილი ნების თამაშების მესამე ოქროთიც გაამდიდრა. ამერიკელი დავრილ უილიამსონის დასამარცხებლად 30 წლის სავონს მხოლოდ 55 წამი დასჭირდა — სანამ მეტოქე თავდასხმიდან თავდაცვაზე გადასვლას მოასწრებდა, თავისი მკვლელი მარჯვენა მთელი ძალით მოსცხო ყბაში და ნოკაუტიც აღინიშნა.

მრავალმილიონიანი ზარალის მიუხედავად ტედ ტერნერი და ფირმა „თაიმ უარნერი“ თამაშების ორგანიზებისგან მაინც არ იღებენ ხელს — 2001 წელს მათ უკვე ავსტრალიური ბრისბენი უმასპინძლებს, ის კი არა, შეიძლება 2000-ში ლეიკ პლესიდში ზამთრის თამაშებიც კი გაიმართოს.

მირანდა ზედელაშვილი